სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№9(248) ნოემბერი, 2011 წ. www.tsmu.edu

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა თავყრილობა
გვ. 2–3

ქველმოქმედება ქართველ ემიგრანტთათვის
გვ. 3

ბიოპუნქტურა მაღალი კლინიკური შედეგებით
გვ. 4

დამოუკიდებელი საქართველოს ქირურგთა ღირსეული წარმომადგენელი
გვ. 4–6

ფუნდამენტური სახელმძღვანელო ფიზიოლოგიაში
გვ. 5

ქართულ–აზერბაიჯანული ურთიერთობები
გვ. 6–7

სამედიცინო გაზეთის
რედაქცია:
ვაჟა-ფშაველას 33
ოთახი 600
ტ: 254-24-64
რედაქტორი
დალი გაბეშია
ტ: 599 76 25 98;
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ: 555 29 98 27;
დარეჯან კომლაძე
ტ: 558 17 08 47;
ნატო ბოლქვაძე
ტ: 555 28 28 97
ელ. ფოსტა:
medgazeti@yahoo.com

სამედიცინო უნივერსიტეტს ინდოელ სტუდენტთა ახალი ნაკადი შეემატა

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველკურსელთა რიცხვს 160 ინდოელი სტუდენტი დაემატა. ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება 110 სტუდენტით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (გერმანია, ისრაელი, მალაიზია, სინგაპური, ირანი, თურქეთი, ტრინიდატი და ტობაგო).

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ავიაკომპანია „AIR ARABIA"-ს მიერ პირდაპირი ჩარტერული რეისით (პირველად საქართველოში) ინდოეთიდან ჩამოფრენილ სტუდენტებს აეროპორტში დახვდნენ: სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ბატონი **ნოდარ სურგულაძე**, რექტორის მოადგილე, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი**, სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, პროფესორი **ია ავალიანი**, მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვანი სექტორის პერსონალი და სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობის აქტივი.

სამედიცინო უნივერსიტეტში ინდოელ სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე მათ სწავლის დაწყება მიულოცეს: საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსმა, პროფესორმა **ია ავალიანმა**, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა **გიგა სორდიამ** და უცხოენოვანი სექტორის მე-5 კურსის სტუდენტმა **თირუნავუკარასუ მურუგაპანმა.**

რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ბატონმა **ნოდარ სურგულაძემ**, რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **რიმა ბერიაშვილმა**, შეხვედრას ესწრებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორი მომზიდავი კომპანია „ომ"-ის დირექტორი, ბატონი **რუდრა უდაია კუმარი**, რომელიც დამსწრეებს მიესალმა ინდოელი სტუდენტების სახელით და ხაზი გაუსვა რამდენიმეწლიან წარმატებულ თანამშრომლობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან; ინდოელი სტუდენტების დიდ კმაყოფილებას ასეთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის გამო, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ ჰყავს უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის მხრივ, რადგან აქ მსოფლიოს 27 ქვეყნიდან იღებენ ახალგაზრდები სამედიცინო განათლებას.

მოამზადა **დალი გაბეშიამ**

კონფერენცია

მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები იშვიათ დაავადებებზე

საქართველოს პირველი ლედის, ქალბატონ **სანდრა-ელისაბედ რულოვსის**, მხარდაჭერით და უშუალო მონაწილეობით, ევროპის საერთაშორისო ორგანიზაცია **EURORDIS-ის** პატრონაჟით ახლახან ჩვენს დედაქალაქში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" ჩატარდა **იშვიათი დაავადებების და ობოლი წამლების II სამხრეთ კავკასიის კონფერენცია,** რომელსაც ორგანიზატორობა გაუწიეს: „გენეტიკური და იშვიათი დაავადებების საქართველოს" (GeRaD), SICO-ს „ალიანსი იშვიათი დაავადებებისთვის" ფონდებმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია.** კონფერენციის მიზანამოცანიდან გამომდინარე, ბატონმა ზურაბმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მის ჩატარებას და ხაზი გაუსვა სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელთა დიდ წვლილს ამ კონფერენციის მოწყობასა და წარმართვაში.

კონფერენციის ძირითად მიზანს შეადგენდა მსოფლიოს წამყვან ექსპერტებთან შეხვედრა და მონაწილეებისთვის იშვიათი დაავადებების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიწოდება.

მეტად შთამბეჭდავი და საინტერესო იყო კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები დიაგნოსტიკის, კლინიკური გამოკვლევისა და მკურნალობის, პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის, სწავლება-ტრენირებისა და განათლების (საინფორმაციო რესურსები), მკურნალობისადმი ხელმისაწვდომობის პროცესში პაციენტებისა და მათი მშობლების ინტეგრაციის საკითხებზე.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ წარმომადგენლები 21 ქვეყნიდან, მათ შორის: EAP-ის (ევროპის პედიატრიის აკადემია) გენერალური მდივანი და იშვიათი დაავადებების სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი; AAP-ის (ამერიკის პედიატრიის აკადემია) და ევროპის უმსხვილესი კლინიკურ-დიაგნოსტიკური ცენტრების წარმომადგენლები; იშვიათ დაავადებათა სფეროს წა-

➡ მე-2 გვ-ზე

კონფერენცია

← 1 გვ.

მყვანი ქართველი სპეციალისტები: **ყ. ფაღავა, ქ. ნემსაძე, ს. ქემოკლიძე, ი. კორინთელი, ნ. ტატიშვილი. მ. აბაშიძე, დ. მეტრეველი. მ. იოსელიანი, მ. კიკვიძე, ლ. ძნელაძე, ხ. პაჭკორია, ე. ადამია, ი. ბულია, გ. გალდავა** და სხვ., რომელთა მოხსენებებმა, საკუთარი გამოცდილებით იშვიათი დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ, დამსწრეთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რაც კონფერენციაზეც აღინიშნა, რომ ქართველმა ექიმებმა, კერძოდ სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმასწავლებლებმა: **ირაკლი ფაღავამ, იოსებ კვაჭაძემ, თამაზ მარინაშვილმა, ლევან ანჯაფარიძემ, ბაადურ რაჭველიშვილმა, კონსტანტინე ვირ-**

სალაძემ, ოქროპირ გოგიბერიძემ, ავთანდილ ლაჭყეპიანმა, სულხან ქემოკლიძემ იშვიათ დაავადებებზე მუშაობა საკმაოდ ადრე, 50 წლის წინ, დაიწყეს. ექიმ **ხუტა პაჭკორიას** კი, რომელიც სტუდენტობის დროიდან, 1971 წლიდან, დაინტერესდა იშვიათი დაავადებებით, დღეისთვის 100-ზე მეტი სინდრომი აქვს აღწერილი, მათ შორის – მანამდე უცნობიც. მის მიერ გამოკვლეულ ავადმყოფთა რიცხვი კი რამდენიმე ათასს აღემატება. დასანანია, რომ ბატონმა ხუტა პაჭკორიამ ვერ გამოძებნა სახსრები იშვიათ დაავადებებზე უნიკალური ატლასის გამოსაცემად, რომლის მცირე ნაწილის სლაიდები საკუთარ შემთხვევებზე წარმოადგინა კონფერენციაზე და დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოელი კოლეგებში.

ჩვენს გაზეთში 20 წელზე მეტია პერიოდულად ქვეყნდება წერილები ბატონი ხუტას მიერ აღწერილ იშვიათ დაავადებებზე. ახლო მომავალშიც შევთავაზებთ მკითხველს ექიმ ხუტა პაჭკორიას სტატიას სკლეროდერმის გართულებაზე, რის შესახებაც ჯერ მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილი არ ყოფილა და რომლის ექსკლუზიურად გამოქვეყნების უფლება „სამედიცინო გაზეთმა“ ავტორისგან მიიღო.

დალი გაბეშია

საერთაშორისო კონფერენციები

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმზე

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2010 წელს დაარსდა. ამ მცირე ხნის განმავლობაში ფონდმა არაერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. ფონდი მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის განვითარების ფინანსურ ხელშეწყობას, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კვლევითი და ინოვაციური პროექტების დაფინანსებას, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას, მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობას და ქართული აკადემიური წრეების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერას.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი საგრანტო პროექტებს ათი სამეცნიერო მიმართულებით აფინანსებს: **ქართველოლოგიის მეცნიერებები; ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები; საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; მათემატიკური მეცნიერებები; ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; სამედიცინო მეცნიერებები; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; აგრარული მეცნიერებები.**

ახლახან შერატონ მეტეხი პალასმა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმს უმასპინძლა. ფორუმი საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ბ-ნმა **ნოდარ სურგულაძემ** გახსნა, რომელმაც სამინისტროს მიერ მეცნიერების სფეროში განხორციელებულ სიახლეებზე, ასევე, კვლევების ტექნოლოგიების განვითარების და მეცნიერების თანამედროვე ინოვაციების დანერგვაში ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, ბ-ნმა **სულხან სისაურმა** ფონდის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში წარმოადგინა. აღინიშნა, რომ სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა საქართველოს ინტელექტუალურ და სამეცნიერო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით არაერთ საგრანტო კონკურსს ახორციელებს. ამ მიმართულებით ჩამოყალიბდა და უკვე მიმდინარეობს არაერთი კონკურსი, რომელთა იდეა გასულ წელს გამართულ ანალოგიურ ფორუმზე დაიბადა.

ღონისძიებაზე, რომელიც ორი დღე გაგრძელდა, უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები: **ზაალ (ზაზა) კოკაია, თამარ რევაზიშვილი, ანდრო ზანგალაძე, თეიმურაზ კურცხალია, ზურაბ ბერეჟიანი, ზვიად წამალაიძე, ბესო კანკია** საინტერესო სამეცნიერო მოხსენებებით წარდგნენ. გავესაუბრეთ რამდენიმე მათგანს:

ანდრო ზანგალაძე, აშშ-ის სამხრეთ ნიუჯერსის „Virtua“ ცენტრის ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თომას ჯეფერსონის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული:

ბოლო პერიოდში გარდა სამეცნიერო-კლინიკური საქმიანობისა, მიხდება ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა, ვინაიდან ვხელმძღვანელობ საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ცენტრის დეპარტამენტს. მოხსენებაში ამ კუთხით ჩემს მუშაობაზე ვისაუბრე. როგორც ექიმი, ბუნებრივია, შევეხე ჩემს კლინიკურ და მეცნიერულ მოღვაწეობასაც, ასევე, ნევროლოგია-ეპილეფტოლოგიის დარგში სიახლეებს. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეს სიახლეები დავნერგოთ ჩვენს ქვეყანაში, რათა ჩვენს თანამემამულეებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეთოდებით მკურნალობის შესაძლებლობა მიეცეთ. ამისთვის საჭიროა ახალგაზრდებმა მიიღონ შესაბამისი განათლება, აითვისონ ეს მეთოდები. ამ ღონისძიების და, ზოგადად, ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტიც ახალგაზრდების პროფესიული ზრდისთვის ხელშეწყობაა. ბედნიერი ვიქნები თუ ჩემს მოკრძალებულ წვლილს შევიტან ამ მნიშვნელოვან საქმეში.

თამარ რევაზიშვილი, აშშ-ის ფლორიდის უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი, ბიოუსაფრთხოების დონე 3 ლაბორატორიების დირექტორი:

აღმოცენებადი პათოგენების ინსტიტუტში ფლორიდაში, სადაც ამჟამად ვმოღვაწეობ, მეცნიერული კვლევისთვის საუკეთესო პირობები არსებობს. პროფესიით ბიოლოგი გახლავართ და ჩემი კვლევის სფერო მოიცავს ინფექციურ დაავადებებს, კერძოდ – ვმუშაობ მიკრობიოლოგიაში იმ ბაქტერიებზე, რომლებიც იწვევენ აღნიშნულ დაავადებებს. ინსტიტუტში არის დიდი განყოფილება, სადაც მუშაობენ გრიპის ვირუსებზე. მოგეხსენებათ, ინფექციების აფეთქების საშიშროება ყოველთვის არსებობს და თავს არ შეგაწყენთ იმაზე საუბრით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს კვლევები ზოგადად. პირველად გახლავართ ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმზე და ვფიქრობ, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. 25 წელია სამშობლოსგან შორს ვიმყოფები და ხშირად ვფიქრობ, რა არაჩვეულებრივ შესაძლებლობას არიან მოკლებული ქართველი ახალგაზრდები ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით, ვგულისხმობ იმ პირობებს, რაც თუნდაც ჩვენს ინსტიტუტშია. მისასალმებელია, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახალგაზრდა მეცნიერების უცხოეთში სამეცნიერო-კვლევით სტაჟირებას დააფინანსებს. სასურველია თუ ეს არაჩვეულებრივი ინიციატივა დოქტორანტებთან ერთად შეეხებათ მაგისტრანტებსაც, რადგან თანამედროვე სტანდარტების შესატყვისად მომზადებული მაგისტრი უკვე დოქტორანტურაშიც მზად არის – ის უკვე სპეციალისტია.

პროფესორი **ზაზა კოკაია, შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის ნევროლოგიის კათედრის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტთან არსებული ღეროვანი უჯრედების ცენტრის ხელმძღვანელია;** ორი ათეული წელია შვედეთში მუშაობს ბიომედიცინის განხრით, სადაც დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია გენური და უჯრედული თერაპიის განვითარება. ბატონი ზაზა, თანამოაზრეებთან ერთად, დაავადებათა ცხოველური მოდელების გამოყენებით, იკვლევს ბიოლოგიურ პრობლემებს, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვს მედიცინასთან და ცდილობენ მიღებული შედეგები საბოლოოდ კლინიკაში დაინერგოს, როგორც ახალი თერაპიული საშუალება. შვედეთის მთავრობა ღეროვან უჯრედებს რეგენერაციულ და სტრატეგიულ დარგად მიიჩნევს. მათ ხუთი წლით დააფინანსეს ეს დარგი და მიმართულება, ხოლო ევროპელ მეცნიერთა შვიდ ჯგუფს და ორ კომპანიას, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს და ფინანსდება ევროკავშირის მიერ. სწორედ პროფესორი ზაზა კოკაია ხელმძღვანელობს.

– ჩვენი მიზანია განვავითაროთ დიაბეტის, ტვინის ინსულტის და ჰემატოლოგიური დაავადებების ღეროვანი უჯრედებით მკურნალობის ექსპერიმენტული მეთოდები და მაქსიმალურად მივუახლოვოთ საბაზისო კვლევა კლინიკას, – აცხადებს ბატონი ზაზა.

ლაბორატორია უშუალოდ ტვინის ინსულტზე მუშაობს, რომელიც მსოფლიოში სიკვდილიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, ხოლო ინსულტით გამოწვეული ინვალიდობა ლიდერია ყველა დაავადებათა შორის. ქართველი მეცნიერის წვლილი უდიდესია ინსულტის აღდგენითი მკურნალობის ახალი მეთოდის შემუშავებაში.

პროფესორი ზაზა კოკაია, თანამოაზრეებთან ერთად, ქმნის ქართულ-შვედურ პროექტს, რითაც აპირებს თბილისში ჩამოაყალიბოს და უხელმძღვანელოს აღდგენითი ნევროლოგიის ლაბორატორიას, რომელიც შეისწავლის ღეროვანი უჯრედების როლს ნეიროდეგენერაციული დაავადების დროს.

ჯესო კანკია ოჰაიოს (აშშ) უნივერსიტეტის პრინციპული მკვლევარი გახლავთ, სადაც უმნიშვნელოვანეს წარმატებებს მიაღწია სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. სულ ცოტა ხნის წინათ კი მისი პროექტი გრანტით დაფინანსდა **ბილ და მელინა გეიტსების** ფონდიდან, რაც ითვალისწინებს განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი დიაგნოსტიკური საშუალებების შექმნას. ნოემბრის თვეში პროფესორი **ბესო კანკია საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მეცნიერთა ფორუმის** სტუმარი გახლდათ, იგი ცდილობს საქართველოში შეარჩიოს და აშშ-ში სასწავლებლად წაიყვანოს ნიჭიერი და მონდომებული ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც ოჰაიოს უნივერსიტეტში შეუქმნის ყოველგვარ პირობებს ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობისთვის, რათა სამომავლოდ ღირსეული სპეციალისტები აღზარდოს და მოამზადოს საქართველოში წარმატებული საქმიანობისთვის. **– თითქმის ყოველთვის ყველგან გავრცელებული იყო მოსაზრება – თუ წამალი არ არსებობს, რა აზრი აქვს დიაგნოსტიკას? და თუ წამალი გამოჩნდება, მერე დიაგნოსტიკაც განვითარდება – წამალი წინ უძღვის დიაგნოსტიკას, ამიტომ უამრავი ფული იხარჯება არამიზნობრივად. თვით ამერიკაშიც გარკვეულწილად მოიკოჭლებს დიაგნოსტიკა,** – აღნიშნავს ჩვენი თანამოსაუბრე, – **აშშ-ში 1983 წელს შეიქმნა PSR-ის – პოლიმერების ჯაჭვური რეაქციის მეთოდი. იგი შესაძლებლობას იძლევა, დაიჭიროს თუნდაც ერთი ბაქტერიის ან ვირუსის დნმ და გაამრავლოს ხელსაწყოებისთვის**

➡ მე-3 გვ-ზე

საერთაშორისო კონფერენციები

← *მე-2 გვერდიდან*

ხილულ კონცენტრაციამდე. ეს ტესტი, საშუალოდ, ორი კვირას მოითხოვს ამერიკაშიც კი და ჩვენ ვცდილობთ, ის ერთსაათიანად ვაქციოთ, რათა შესაძლებელი გახდეს დიაგნოზის რაც შეიძლება იაფად და ოპერატიულად დასმა. ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვს. ამიტომაც დააფინანსა ჩემი პროექტი გეიტსების ფონდმა. მეთოდი იძლევა PSR-ის მეთოდის გამარტივების საშუალებას.

პროფესორი **თეიმურაზ კურცხალია** სამი ათეული წელია გერმანიაში მოღვაწეობს; ამჟამად **დრეზდენის ბლანკის მოლეკულური უჯრედის ბიოლოგიის და გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორია**. ორი წლის წინ სამშობლოში ჩამოაყალიბა თბილისის მეტაბოლური გენეტიკის ინსტიტუტი. ბატონი თეიმურაზი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აღზარდოს ღრმად განსწავლული, მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრები, რომლებიც შინ დაბრუნების შემდეგ ქვეყნის სამსახურში ჩადგებიან: **– ჩვენი თემატიკა მეტაბოლიზმის, ანუ ნივთიერებათა ცვლის შესწავლაა, ერთი სიტყვით, ძალზე საინტერესო და შრომატევადი სამუშაო გველის, რასაც, ვფიქრობთ, ერთობლივი ძალისხმევით წარმატებით გავართმევთ თავს. ბევრი რამ კეთდება ქართული მხარის თანადგომით – რუსთაველის ფონდი მრავალ სასიკეთო წამოწყებათა ინიციატორი და ხორცშემსხმელია. სამომავლო წარმატებებისთვის ვეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ,** – აღნიშნავს იგი.

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმის მეორე დღე უნივერსიტეტების სამეცნიერო მუშაობის პრეზენტაციებს დაეთმო. სამეცნიერო კვლევების შესახებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ისაუბრა თსსუ-ის მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ნინო ვეფხვაძემ.** წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტების პოსტერ-სესიები.

ღონისძიება ითვალისწინებდა უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა საჯარო ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენს უნივერსიტეტს ესტუმრნენ და ლექციები წაიკითხეს პროფესორებმა **ანდრო ზანგალაძემ** და **თამარ რევაზიშვილმა**, რომლებმაც საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს ქართველ კოლეგებს და სტუდენტებს.

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერების თანამემამულე კოლეგებთან მჭიდრო პროფესიული ურთიერთობების დამყარებას და ამ კუთხით არაერთი საინტერესო და სასარგებლო ინიციატივის ხელშეწყობას, დასრულდა. გრძელდება კონტაქტები, რაც უცხოეთში სამეცნიერო დიასპორის წარმომადგენელებს საშუალებას აძლევს მუდმივი საქმიანი კავშირი ჰქონდეთ სამშობლოსთან და საკუთარი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ საქართველოში მეცნიერების დონის ამაღლებას.

ახლახან შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსდა 28 ახალგაზრდა მეცნიერი, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში მიმდინარე კვლევით საქმიანობაში ჩაერთვებიან. ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების საგრანტო კონკურსში გამარჯვებულთა შორის არიან ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებიც – მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ია ფანცულაია და ამავე დეპარტამენტის დოქტორანტი ხათუნა რეხვიაშვილი. ვულოცავთ ჩვენს მეცნიერებს ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ მომავალშიც.

ნატო ბოლქვაძე,
დარეჯან კომლაძე

ინფორმაციის

ემიგრანტი თანამემამულეებისთვის

ამას წინათ საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტის (ხელმძღვ. პროფ. **ალექსანდრე პაპიტაშვილი),** ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიას“ უფასო სამედიცინო მომსახურების კაბინეტის (პრეზიდენტი **ავთანდილ მიქაბერიძე)** და ბერძნული ასოციაცია „PraKsis“-ის ძალისხმევით, ჩატარდა ერთობლივი ჰუმანიტარული აქცია **„საქართველოს მეცნიერ-ექიმთა ჯგუფი საბერძნეთის ემიგრანტი თანამემამულეებისთვის“.**

აქციის მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში, საბერძნეთის სახელმწიფო ქართულენოვანი რადიო **„ივერია“**, **„ინ-ექს“** ჯგუფი, გაზეთები: **„გეორგიანი ეფიმერიდა“** და **„ომონია“,** პოლიკლინიკა „Doctors Hospital“, კომპანია „Paraskevopoulos Medikal“, **საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირი** და ჟურნალი **„ემიგრანტი ქალი“,** ასოციაცია **„ოქროს საწმისი“,** გაზეთი **„ელადა“** და ჟურნალი **„თაობა“.**

აქციაში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნის წამყვანი ექიმები, პროფესორები: **ალექსანდრე (დავით) თელია** (ალერგოლოგია, დერმატოლოგია, თერაპია, ენდოკრინოლოგია, პედიატრია), **გურამ დავითაია** (ქირურგია, სახსრების და ხერხემლის პრობლემები, ტრავმები, სპეციალიზაცია-პედიატრია, ბავშვთა ქირურგია), **ალექსანდრე პაპიტაშვილი** (ჯგუფის ხელმძღვანელი; ექოსკოპია მეანობა-გინეკოლოგიასა და რეპროდუქტოლოგიაში; ექოსკოპია – თირკმლების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, პანკრეასის, ელენთის, ფარისებრი და სარძევე ჯირკვლების, პროსტატის); მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები: **გია თვალთვაძე** (გინეკოლოგიური დაავადებები, სამეანო პრობლემები, ორსულთა კონსულტაცია), **თამარ დემეტრაშვილი** (ექოკარდიოგრაფია და დოპლეროგრაფია), **ნანა გვეტაძე** (საშვილოსნოს ყელის მდგომარეობის კონტროლი), **ნანა თვალავაძე** (ბრონქული ასთმა და პოლინოზები), **მანონ ფანჩულიძე** (დოპლეროგრაფია გინეკოლოგიაში).

ათენში მცხოვრებ 300-მდე ჩვენს თანამემამულეს უფასოდ ჩაუტარდა გასინჯვები და ექიმთა კონსულტაციები, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, დაენიშნათ მკურნალობა, გადაეცათ მედიკამენტები, გაეწიათ რჩევა-დარიგება.

აღსანიშნავია ბერძენთა მხრიდან უდიდესი დახმარების გაწევა. ქართველ ექიმებს ოპერატიულად და მაქსიმალურად შეუქმნეს პირობები პროფესიული საქმიანობისთვის. ერთ-ერთმა კომერციულმა სამედიცინო ფირმამ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ათხოვა თანამედროვე აპარატურები: ექოსკოპები, ექოკარდიოსკოპები, გამოუყო ლაბორატორია და გინეკოლოგიური კაბინეტი; უსასყიდლოდ მიაწოდა მედიკამენტები ცენტრი „კავკასიას“ მეგობარმა იორდანელმა ფარმაკოლოგმა; ცენტრალური რადიოსგან ცენტრისთვის გამოყოფილი ერთი საათი მთლიანად დაეთმო გასინჯვების პროცედურას, გადაცემა იწყებოდა „სულიკოთი“, ჟღერდა აფხაზური „ფარადა“, ქართული მრავალჟამიერი და ლაღიძის „თბილისო“.

– „საოცარი გრძნობა გვქონდა დაუფლებული, ვეფერებოდით თანამემამულეებს, მადლობას ვუხდიდით ბერძნებს შესაშური დახმარებისთვის. ჩემთვის დაუვიწყარი იყო, როცა ვიხსენებდი სოხუმს, თეატრს... ერთ-ერთი თარჯიმანი აღმოჩნდა ჩემი მეგობრის, **ნოდარ ქარსანიძის,** ქალიშვილი. ვერ გადმოგცემთ, როგორი სიხარული მომანიჭა ამ შეხვედრამ.

უდიდეს მამულიშვილურ საქმეს აკეთებს ათენში ქართველთა ცენტრი. აქ ქართველ ბავშვებს ასწავლიან ქართულ ენას; მუშაობს საკვირაო სკოლა; აქვთ საბავშვო ბაღი; ცეკვის, სიმღერის, მუსიკის, ხელოვნების, ხატვის და სხვა წრეები; აქ კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს“; ეცნობიან საქართველოს კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს; ეს ადგილია ქართველებისთვის უდიდესი შვებისა და სულიერი ძლიერების მომგვრელი; აქ ესმით მათ სამშობლოს სუნთქვა და ალერსი.

ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ **ავთანდილ მიქაბერიძეს**, ჰყავს ბრწყინვალე კოლექტივი. თითოეული მათგანი დიდი ენთუზიაზმით ეწევა კოლოსალურ საქმიანობას ქართველთა ყოფის შესამსუბუქებლად, ბერძენთა და ქართველთა მეგობრობის გასაძლიერებლად, რის დასტურადაც მარტო ჩვენ მიმართ გამოჩენილი სითბო, გასაოცარი დამოკიდებულება და პატივი კმარა. თითოეული ჩვენგანი აღვსილი ვართ მადლიერების გრძნობით ბერძენთა და ქართველთა მიერ გამოვლენილი ყურადღებითა და მასპინძლობით. დიდი მადლობა რესტორანი „ფიროსმანის“ ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს, რომლებმაც შესაშურად გვიმასპინძლეს. ქუთაისელმა ჩვენი ხათრით ინადირა და ამ რესტორანში მოგვართვა მწყერები და კურდღელი.

ჩვენსა და საქართველოს მიმართ განუსაზღვრელი სიყვარულის დასტური იყო კოჯრის ბავშვთა სახლში აღზრდილი **„ლაიზა მინელის“ – ლაიზა ანტონიადის** მოქმედება. იგი წუთითაც არ მოგვცილებია და უსაზღვრო ყურადღებით გვანებივრებდა. ლაიზა ერთ დროს თურმე პროფესორ **ნოდარ ბოხუას** საოპერაციოში მუშაობდა. ჩვენთვის უდიდესი ბედნიერება იყო იქ ყოფილი პაციენტებისა და მათი მშობლების ხილვა, უკიდეგანო იყო ის სიყვარული, რასაც ერთმანეთის მიმართ გამოვხატავდით.

დამშვიდობება დასკვნითი საღამოს ოფიციალური ნაწილით აღინიშნა. აქ იყვნენ ბერძენი და იორდანელი სტუმრებიც. ცენტრის ძალებით ჩატარდა კონცერტი მომაჯადოებელი საგალობლებით (მათ შორის – პატრიარქის), ქართული ჯეირანისა და აჭარული ცეკვებით, რაც დაგვირგვინდა მეგობრული ტრაპეზით.

ზღაპრული დღეების შემდეგ განშორება მეტად ძნელი და თვალცრემლიანი იყო, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ ასეთი აქცია არ იქნება ერთჯერადი და კვლავ მოგვეცემა შესაძლებლობა ჩვენი თანამემამულეების, ბერძენი მეგობრების მონახულებისა“, – გვიამბობს და თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს პროფესორი გურამ დავითაია.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ ბატონ გურამს და ყველა იმ ქართველ ექიმს, ვინც უანგაროდ გაუწია დახმარება შორეულ საბერძნეთში მყოფ თანამემამულეებს, მადლობა გადავუხადოთ, მათ კი საკუთარ სამშობლოში დაბრუნება ვუსურვოთ.

საუბარი ჩაიწერა
დალი გაბეშიამ

ინფორმაციის

სტუდენტები მსოფლიო გამოწვევებში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის მიმართულების** საპრეზენტაციო დარბაზში საქართველოს ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირმა, როგორც IFMSA- ს წევრმა, გლობალური აქტივობის კვირეულის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასა და EEMSA-თბილისთან თანამშრომლობით, ჩაატარა სამუშაო სემინარი – **„ჯანდაცვის სოციალური დეტერმინანტები“**.

ასოცირებულმა პროფესორმა **ირინე ზარნაძემ** საზოგადოებას წარუდგინა ჯანდაცვის და ჯანმრთელობის დეტერმინანტები, მოსახლეობის ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები და სხვა.

დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა. ტრეინინგში სრულად ჩართვის მიზნით, მონაწილეები განაწილდნენ სამ ჯგუფში, რათა მოეხდინათ ცალკეული შემთხვევის, აქტუალური პრობლემის ანალიზი და შესაბამისად, ეპოვათ ოპტიმალური გამოსავალი. სტუდენტები და მაგისტრები განიხილავდნენ საკვანძო საკითხებს, რის შემდეგაც წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები.

დებატებისა და განხილვების შემდეგ მონაწილეები და პროფესორ-მასწავლებლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ჯანდაცვის სოციალურ დეტერმინანტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეული ქვეყნისთვის. სტუდენტების მონაწილეობა მსოფლიო გამოწვევებში ხელს უწყობს მათი კვალიფიკაციის ზრდას და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

სემინარის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

სალომე ბეზარაშვილი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი

საქართველო გუშაგი

საუნივერსიტეტო კონკურენციებზე

მარტივი, უსაფრთხო, პაციენტზე ორიენტირებული

თანამედროვე ეკოლოგიური სისტემების რღვევით გამოწვეული უარყოფითი შედეგები ორგანიზმს განსაკუთრებულ ზიანს აყენებს, უსაფრთხო, უვნებელი და ეფექტური წამალსაშუალებების შექმნა-გამოყენებით კი შესაძლებელია არაერთი დაავადებისგან დაცვა.

დიდი კონკურენციის პირობებში, დღეს, ბიომედიცინაში მოვლენები ძალზე სწრაფად ვითარდება. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება – ჰომოტოქსიკოლოგია ორგანიზმის დამცველობითი მექანიზმის გააქტიურებისა და სასიცოცხლო ფუნქციების გაძლიერებისათვის ზრუნავს – ბიორეგულაციური პრეპარატები არ იწვევს ქსოვილის დაზიანებას, არ აკუმულირებს ორგანიზმში, არ აქვთ ტოქსიური დატვირთვა.

ბიოპუნქტურა კი ბიორეგულაციური თერაპიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ბიოლოგიური პრეპარატები კეთდება სპეციფიურ ზონებსა და წერტილებში. ბიოპუნქტურაში გამოიყენება ლოკალური ინექციები, სადაც პრეპარატი ულტრადაბალ დოზებში გამოიყენება დექსტროზის დამატებით (დექსტროზა ინიშნება ქსოვილთა რეგენერაციის გასაუმჯობესებლად).

საქართველოს ბიორეგულაციური მედიცინისა და ჰომოტოქსიკოლოგიის საზოგადოება, ბატონი **თენგიზ ტერუნაშვილის** ხელმძღვანელობით, არაერთი საინტერესო ღონისძიების მოწყობის ინიციატორია. საზოგადოების ეგიდით ჩატარებული კონფერენციები თუ სკოლა-სემინარები, რომლებიც ძირითადად საერთაშორისო მასშტაბისაა, მომავალ ექიმებს მედიცინის ამ მიმართულებით ინტერესის გაღვივების, ხოლო მათ უფროს კოლეგებს პროფესიული დაოსტატების შანსს აძლევს.

ამ საზოგადოების ეგიდით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ახლახან გამართული საერთაშორისო სკოლა-სემინარის სტუმარმა, **სიდ ჰარტ ჰოპარტიმ, – ვიტენ-ჰერდევის, ბონის, მილანის და ვიადრის უნივერსიტეტების**

პროფესორმა, დამსწრე საზოგადოებას საინტერესო მოხსენება შესთავაზა – **ბიოპუნქტურა – ტკივილის მართვა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს.** მრავალმხრივი და საკმაოდ ხანგრძლივი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, ბატონმა ჰოპარტიმ ისაუბრა ბიოპუნქტურის მეთოდის უვნებლობის და მაღალეფექტურობის შესახებ მთელი რიგი დაავადებების დროს.

კონფერენციის დასასრულს უცხოელ პროფესორს ვთხოვეთ ჩვენთან სტუმრობის მიზეზის, შთაბეჭდილებების, ასევე, ბიორეგულაციური მედიცინის ზემოთ აღნიშნული მეთოდის ეფექტურობის შესახებ ესაუბრა:

– აღვნიშნავ, რომ მედიცინაში უკვე აღარ მიმართავენ ხშირი ინტენსივობის ქიმიურ პრეპარატებს. ბიოპუნქტურა საკმაოდ მარტივი, უსაფრთხო, პაციენტზე ორიენტირებული მეთოდია, მცირე ეკონომიური დანახარჯით და და მაღალი კლინიკური შედეგებით. ამ მეთოდს წარმატებით ვიყენებთ მთელი რიგი დაავადებების შემთხვევებში, მათ შორის, ძალზე ეფექტურია სპორტული ტრავმების, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიების, ანთებითი პროცესების, ალერგიების, სხვადასხვა ეტიოლოგიის თავის ტკივილის დროს. ბიოპუნქტურა ეყრდნობა კონვენციურ და ფუნქციურ დიაგნოსტიკას, რომლის საფუძველზე წყდება, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომელ ფენაში და რა სიღრმეში. კმაყოფილი ვარ თქვენთან სტუმრობით, სამომავლოდაც ვაპირებ ჩამოსვლას დასასვენებლად და სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

დარეჯან კომლაძე

ილია ახმეტელის 130 წლისთავის ერისათვის

სასიქადულო მამულიშვილი

130 წელი შესრულდა დამოუკიდებელი საქართველოს ქირურგთა პირველი თაობის შესანიშნავი წარმომადგენლის ილია ახმეტელის დაბადებიდან. იგი მოღვაწეთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებმაც უმაღლესი განათლება საქართველოს გარეთ მიიღეს, დახელოვდნენ, ჩამოყალიბდნენ როგორც პროფესიონალები და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არჩეული სპეციალობის განვითარებაში.

1920 წლის დასასრულს იურევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული და პეტერბურგის საუკეთესო კლინიკებში გამოცდილებამიღებული ილია ახმეტელი სამშობლოში ბრუნდება და გ. მუხაძის ხელმძღვანელობით იწყებს მუშაობას, მუხაძისეული ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ხდება და თავის მოღვაწეობას თითქმის მთლიანად თბილისის უნივერსიტეტს და შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტს უკავშირებს.

ილია ახმეტელი დაიბადა 1881 წლის 12 ნოემბერს. ყოფილი სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში, სასულიერო პირის (დეკანოზის) ოჯახში. ბავშვობა მან თელავში გაატარა, საშუალო განათლება კი თბილისში სასულიერო სემინარიაში მიიღო. მიუხედავად თავისი მატერიალური ხელმოკლეობისა, უმაღლესი განათლების მისაღებად ილია მიემგზავრება იურევს. მე-19 საუკუნის დასასრულს და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დამდეგს იურევის უმაღლეს სასწავლებელს ათეულობით ქართველმა ახალგაზრდამ მიაშურა.

იურევის უნივერსიტეტში სამედიცინო განათლება მრავალმა ქართველმა მიიღო. იქ სწავლობდნენ შემდეგში ცნობილი მედიკოსები ა. ალადაშვილი, ე. თოდაძე, კ. ერისთავი, ვ. ჩირგაძე, ს. კანდელაკი, ა. ლომსაძე და სხვები.

იმ დროისათვის ტარტუში ქართველ სტუდენტთა ორი გაერთიანება არსებობდა. ეს იყო „იურევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო“ და „კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოება“.

ილია კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. საზოგადოების წესდება შედგენილი იყო საზოგადოების ფუძემდებლების – გ. ხირსელის, ლ. სარალიძის და ი. ახმეტელის მიერ. საზოგადოების მუშაობაში ილია ახმეტელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, იყო ამ საზოგადოების ბიბლიოთეკარი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ილია ახმეტელის აქტიური მონაწილეობა სტუდენტურ მოძრაობაში ცნობილი იყო ტარტუს ჟანდარმერიისათვის. 1909 წლის 7 ნოემბერს დააპატიმრეს შვიდი სტუდენტი. როგორც ყველაზე „საშიში“ პირები. მათ შორის იყო ილია ახმეტელიც.

ილია ახმეტელი სამნახევარი თვის პატიმრობის შემდეგ გარიცხეს ინსტიტუტიდან და ორი წლით გადაასახლეს ქ. ფსკოვში. ფსკოვში ჩასვლისთანავე, სადაც იმ დროისათვის ქოლერის ეპიდემია მძვინვარებდა, ილია ახმეტელი ჩაება ქოლერის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ახალგაზრდა მედიკოსის თავგანწირვა შეუმჩნეველი არ დარჩა, მას შეუმცირეს სასჯელი და სწავლის გაგრძელების უფლება მისცეს.

სტუდენტობის წლებმა კიდევ უფრო განამტკიცა ილიას გადაწყვეტილება ქირურგი გამხდარიყო. მომავალი ქირურგი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგეზე, პროფ. მ. როსტოვცევზე. 1910 წელს ილიამ მიიღო ექიმის დიპლომი, ინიშნება ამ კლინიკის სუბასისტენტად და კათედრის გამგის რჩევით ეუფლება ორთოპედია-ტრავმატოლოგიას.

1912 წლის შემოდგომაზე ი. ახმეტელი დახელოვნების მიზნით გაიგზავნა პეტერბურგის ორთოპედიის ინსტიტუტში. ამ პერიოდში პეტერბურგში იმყოფებოდა ილიას უმცროსი ძმა სანდრო (შემდეგში გამოჩენილი რეჟისორი), რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა.

1913 წელს ილია ახმეტელი რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ მიავლინა ბულგარეთში, სადაც მონაწილეობდა ბალკანეთის ომში. ილია ახმეტელი, როგორც სამხედრო ქირურგი, 9 თვის მანძილზე მუშაობდა ქ. სოფიის სამხედრო ლაზარეთში, ბულგარეთიდან პეტერბურგში დაბრუნებულმა ილია ახმეტელმა მუშაობა დაიწყო ობუხოვის საავადმყოფოში. მალე იგი ინიშნება პეტერბურგის სამხედრო ლაზარეთის მთავარ ქირურგად.

1920 წლის დასასრულს ილია ახმეტელი დაბრუნდა სამშობლოში. იგი რამდენიმე თვე მუშაობდა სამხედრო ჰოსპიტალში, შემდეგ კი ყოფილი მიხეილის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში პროფ. გრიგოლ მუხაძესთან. ამ განყოფილების ბაზაზე, გრიგოლ მუხაძის ხელმძღვანელობით, 1919 წელს ჩამოყალიბდა ზოგადი ქირურგიის, ხოლო 1921 წელს ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა. დასაწყისში კათედრის უფროსი ასისტენტი იყო ალექსანდრე წულუკიძე (1921-1927), ასისტენტი მიხეილ ცხაკაია (1921-1932) 1922 წელს კათედრის ასისტენტად არჩეული იყო ილია ახმეტელი (1922-1927).

ილია ახმეტელი აქტიურად ებმება ფაკულტეტის საქმიანობაში. იგი იყო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის აქტიური წევრი და ერთ ხანს მისი გამგეობის წევრიც. უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმმა და მისმა გამგეობამ, რომლის წევრები ამ დროს იყვნენ ილია ახმეტელი, დავით იოსელიანი, ნიკოლოზ ანდრიაძე და მელქისედეკ ბარქაია, დიდი როლი შეასრულა ქათულ ენაზე პერიოდული სამედიცინო ჟურნალის გამოცემის ორგანიზებაში. ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია და 1924 წელს დაიწყო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინის“ გამოცემა.

1927 წელს გ. მუხაძე ილია ახმეტელს ავალებს სიღნაღის ახალგახსნილ საავადმყოფოში ქირურგიული განყოფილების დაარსებას. იმ დროისათვის სიღნაღის მაზრის მოსახლეობა, რომლიც 155000 მცხოვრებს შეადგენდა, სრულიად მოკლებული იყო სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას. დასაწყისში გაძნელდა მოსახლეობის ნდობის დამსახურება, რადგან მათთვის წამოუდგენელი იყო ადგილზე ქირურგიული დახმარების მიღება, მაგრამ მალე მდგომარეობა იმდენად იცვლება, რომ არა მარტო ქირურგიული, არამედ თერაპიული ავადმყოფებიც ოპერაციით განკურნებას ითხოვენ.

1929-1930 წლებში ილია ახმეტელი კვლავ ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაშია. სწორედ ამ კლინიკაში მუშაობის პერიოდი იყო მისი ყველაზე ნაყოფიერი ქირურგიული მოღვაწეობის პერიოდი.

ილია ახმეტელმა საქართველოში ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო მუშაობა ძვალსახსართა ტუბერკულოზის დარგში. იმ დროისათვის ძვალსახსართა ტუბერკულოზი ფართოდ იყო გავრცელებული. საქართველოში პირველი ოსტეოპლასტიკური ოპერაცია ტუბერკულოზური სპონდილიტის დროს (ოლბის ოპერაცია) შესრულებული იყო ილია ახმეტელის მიერ 1922 წლის 24 აგვისტოს. 1922-1923 წლებში ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში ეს ოპერაცია გაუკეთდა 10 ავადმყოფს. აქედან 9 ოპერაცია შესრულებული იყო ილია ახმეტელის, ერთი გ. მუხაძის მიერ.

ილია ახმეტელს დიდი გამოცდილება ჰქონდა სისხლძარღვთა ქირურგიაში, რაც მიღებული ჰქონდა ჯერ ბულგარეთში სამხედრო ექიმად მუშაობის დროს და, შემდეგ, სამხედრო ლაზარეთში მუშაობის პერიოდში. მას ეკუთვნის კლინიკაში პირველად შესრულებული ოპერაციები მუხლქვეშა არტერიის არტერიულ-ვენური ანევრიზმის, იღლიის არტერიის, საერთო საძილე არტერიის, ლავიწქვეშა არტერიის ანევრიზმის გამო (1922-1925). 1929 წლის 18 მაისს ილია ახმეტელმა შეასრულა თანამოსახელე ვენის გადანერგვა ბარძაყის არტერიის დეფექტში ანევრიზმული პარკის ამოკვეთის შემდეგ. ეს იყო პირველი მსგავსი ოპერაცია ამიერკავკასიაში.

ილია ახმეტელი ქართველ ქირურგთა შორის პირველთაგანი მუშაობდა ნეიროქირურგიაში. მას გაკეთებული აქვს მრავალი ოპერაცია, როგორც პერიფერიული, ისე ცენტრალურ ნევრულ სისტემაზე. მის მიერ შესრულებული ოპერაციებიდან აღსანიშნავია ოპერაციები თავის ტვინის სიმსივნეების, ჯეკსონის ტიპის ეპილეფსიის, თავის ტვინის აბსცესის, ზურგის ტვინის სიმსივნეების დროს და სხვ.

1924 წლის 22 ნოემბერს ილია ახმეტელმა გაკერა საჯდომი ნერვი მისი ცეცხლსასროლი იარაღით გაწყვეტის დროს. მსგავსი ოპერაცია პირველი იყო ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში. ერთი კვირის შემდეგ, 29 ნოემბერს იგი ახდენს საჯდომი ნერვის გაკერვას მეორე ავადმყოფზე. ამავე წლის 31 დეკემბერს კი აღადგენს სხივის ნერვის მთლიანობას.

1925 წლის 23 ივნისს ილია ახმეტელმა ჩაატარა ექინოკოკექტომია თავის ტვინის ექინოკოკის გამო. ეს იყო თავის ტვინის ექინოკოკის გამო ჩატარებული პირველი ოპერაცია საქართველოში. ამ ოპერაციის შორეული შედეგი მოხსენდა ნევ-

➡ მე-6 გვ-ზე

სამეცნიერო სახელმძღვანელო

სტუდენტებისთვის, ექიმებისთვის...

ახლახან გამოიცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერ-ფიზიოლოგთა კოლექტიური ნაშრომი – **„ადამიანის ფიზიოლოგია“,** – ფუნდამენტური სახელმძღვანელო, რომლის მთავარი მიზანია, მკითხველს გააცნოს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ნორმული სტატუსის სრული სპექტრი სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში – ბავშვობიდან ხანდაზმულობამდე.

როგორც წიგნის რედაქტორი, პროფესორი **ირინე კვაჭაძე,** აღნიშნავს წინასიტყვაობაში, ადამიანის ფიზიოლოგია ძირითადი საბაზისო დისციპლინაა, რომლის საფუძვლიანი სწავლება ექიმის მომზადების რთულ, ხანგრძლივ და უწყვეტ პროცესში უმნიშვნელოვანესია. ეს კი იმიტომ, რომ, მისივე სიტყვით, „ჯანმრთელი ორგანიზმის ფუნქციონირების და ფუნქციების მართვის მექანიზმების ცოდნის გარეშე შეუძლებელია დისფუნქციის, პათოლოგიის თუ დაავადებების პრევენცია, მათი განვითარების შემთხვევაში კი – იდენტიფიცირება, შეფასება და კორექციის სწორი ალგორითმის შედგენა“.

სახელმძღვანელოში მკაფიოდ და ამომწურავადაა ნაჩვენები, რომ ადამიანის ფიზიოლოგია თანამედროვე მედიცინის ფუნდამენტს წარმოადგენს. თავისი არსით იგი სამედიცინო ფიზიოლოგიაა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესის და ფუნქციონირების კანონზომიერებებს იხილავს ნებისმიერ დონეზე (დაწყებული მოლეკულურიდან - ორგანოთა სისტემებით და ფუნქციური სისტემებით დამთავრებული), და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ორგანიზმსა და გარემოს ურთიერთქმედებისა და ინტეგრირების შედეგად განვითარებულ პროცესებსა და მოვლენებს ნათელს ჰფენს.

გარემოს ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, მსოფლიო ცივილიზაციის სწრაფ განვითარებასა და ტექნიკურ პროგრესთან ერთად, სულ უფრო და უფრო რთული ხდება. ერთი მხრივ, აშკარაა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მონაპოვარმა ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი; შემცირდა ადამიანის მძიმე ფიზიკური დატვირთვის ხვედრითი წილი, მკვეთრად გამდიდრდა მისი ინტელექტური განვითარების ტექნოგენური საშუალებები, განუხრელი წინსვლით ხასიათდება ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული პრევენციული, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო კომპლექსების შექმნის სისტემა, რაც ადამიანის ცხოვრების წესის ჭეშმარიტი გაუმჯობესების საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს. მაგრამ, ამასთანავე, დაუფიქრებლად დაგეგმილი პროგრესის პირობებში, კაცობრიობა ზოგჯერ ახალი პრობლემების წინაშე დგება. სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის ძლიერი ნახტომის შედეგად XX ასწლეულის მეორე ნახევარში წარმოიშვა მაიონებელი და არამაიონებელი სხივური ენერგიის ნაირფეროვანი სპექტრი და წყარო, ხმაურისა და ვიბრაციის მაგენერირებელი დანადგარები, ადამიანის ყოფითსა და შრომით სამყაროში მძლავრად შემოიჭრა ქიმია – კვებითი მრეწველობა ზრდადი ტემპით ფართოდ იყენებს მრავალი სახის საკვებ დანამატებს, კონსერვანტებსა და სტაბილიზატორებს, გენმოდიფიცირებულ საკვებ პროდუქტებს, რომელთა ბიოლოგიური მოქმედების სრული სპექტრი ხშირად არასაკმარისადაა შესწავლილი, ზოგჯერ კი თითქმის შეუსწავლელია. ფართოვდება ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქციის, განსაკუთრებით კი – სინთეზური ქიმიური პრეპარატების არეალი. ყოველდღიურობაში გახშირდა ალკოჰოლისა და თამბაქოს ჭარბი მოხმარება, პრაქტიკულად აღურიცხავად იზრდება ტოქსიკომანთა და ნარკომანთა კონტინგენტი. სწრაფი ტემპებით ბინძურდება გარემო მზარდი სამრეწველო ობიექტებიდან და ავტოტრანსპორტიდან გამონატყორცნი პოლუტანტებით, წარმოშობილი სმოგი და გარემოს სხვა მრავალი სახის მავნეობა ქმნის მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და გეოკლიმატურ დისკომფორტს.

მეცნიერება ცდილობს, წინ აღუდგეს გარემო პირობების მავნე გავლენას ცოცხალ სამყაროზე სხვადასხვა დამცავი კომპლექსით: იქმნება ტექნოგენური დამცავები, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრები ამუშავებენ კომპლექსურ გამაჯანსაღებელ პროგრამებს, ფართოდ ინერგება პრევენციული კომპლექსები, რომელთა სქემაშია ადაპტოგენები, იმუნომოდულატორები და სხვა სახის საშუალებები, რომელთაც, დადებითი მოქმედების გარდა, ზოგჯერ ნეგატიური ეფექტიც ახასიათებთ (ალერგიული, იმუნოდეპრესიული, დისბაქტერიული, მიკოსეფსისური, წამლისმიერ-თანამოვლენებისეული და სხვ.), რის გამოც იქმნება ერთგვარი მანკიერი წრე, რომლის დროულად თავიდან აცილება მედიკოსთა უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

„ადამიანის ფიზიოლოგიის“ ახალი გამოცემის რედაქტორი წინასიტყვაობაში მოკრძალებულად აღნიშნავს, რომ წიგნი რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტთათვის, თუმცა აქვე ხაზგასმით მიანიშნებს, რომ სახელმძღვანელო სწავლაზე მოტივირებულ სტუდენტზეა ორიენტირებული. „სახელმძღვანელო არა მარტო ინფორმაციის წყარო უნდა იყოს, – წერს ავტორი, – არამედ მკითხველს (სტუდენტს) ნაკითხულის კრიტიკული განსჯისკენ უნდა უბიძგებდეს. ამავე დროს, ფიზიოლოგიის არცერთმა სახელმძღვანელომ არ შეიძლება სრულად მოიცვას ამომწურავი ინფორმაცია ამ დისციპლინის შესახებ. ამიტომ, სტუდენტების მოტივაცია რომელიმე კონკრეტულ საკითხში უფრო ღრმად გარკვევისათვის დამატებითი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებით უნდა შეივსოს“.

სახელმძღვანელოს ახალი გამოცემის მომზადებისას შემოქმედებით კოლექტივს ფართოდ გამოუყენებია თანამედროვე სამეცნიერო ცოდნა ფიზიოლოგიაში. გათვალისწინებულია ათეულობით დასახელების უცხოურენოვანი და ქართული წყარო, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ფართო სპექტრი, ამომწურავადაა ასახული დეპარტამენტის თანამშრომელთა რამდენიმე ათეულწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ძირითადი შედეგები, რომლებიც გაზიარებულია სამეცნიერო წრეებში და საინტერესო იქნება მომავალ მედიკოსთათვის. კლასიკური და თანამედროვე ინფორმაცია ფიზიოლოგიაში მეთოდურად ისეა წარმოდგენილი, რომ მკითხველმა სრულად აღიქვას ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევისა და მათი დისრეგულირების როლი პრეპათოლოგიის და პათოლოგიის აღმოცენებასა და განვითარებაში.

სახელმძღვანელოს შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიუღია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის სამივე თაობის წარმომადგენლებს: უფროსი და საშუალო თაობის ექსპერტებს, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა მკვლევრებს. ამგვარი ტანდემი, ერთი მხრივ, სახელმძღვანელოს რედაქტორის მაღალ ინტელექტურ და მორალურ თვისებებს ასახავს, მეორე მხრივ კი – ქართველ ფიზიოლოგთა მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული სკოლის მემკვიდრეობით თანამიმდევრობასა და ღირსეულ მონაცვლეობაზე მეტყველებს, მკითხველს კი სიამაყის გრძნობით აღავსებს.

სახელმძღვანელოს ძირითად თვრამეტ თავში განხილულია ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ზოგადი ფიზიოლოგიური პროცესების არსი, როგორიცაა ფუნქცია, ჰომეოსტაზი, ჰომეოკინეზი, ფიზიოლოგიური ფუნქციების რეგულაცია, ადაპტაცია, აგზნებადი უჯრედის ფიზიოლოგია, კუნთის ფიზიოლოგია და სხვ., ასევე – ყველა ძირითადი სისტემის კერძო ფიზიოლოგიური კანონზომიერებანი.

წიგნში მოცემულია ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგადი და კერძო ფიზიოლოგიის ამსახველი ფართო და ფრიად მრავალმხრივი ინფორმაცია, რომელშიც მკაფიოდაა წარმოჩენილი ქართველი ერის სასიქადულო მეცნიერის, **აკად. ი. ბერიტაშვილის** და მის მემკვიდრეთა გამორჩეული აღმოჩენები და მიღწევები.

ცალკე თავი ეძღვნება ადამიანის თავის ტვინის უმაღლეს ინტეგრაციულ მოქმედებას. იმ უჩვეულოდ რთულ გეოსოციალურ და ნეიროსტრესულ ვითარებაში, რომელშიც მთელი კაცობრიობა აღმოჩნდა ამჟამად, ქცევის ფსიქოფიზიოლოგია მეტად აქტუალურ ჟღერადობას იძენს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ფსიქოფიზიოლოგიური ასპექტები აქტიურად შემოღებულ იქნა სამედიცინო სწავლების პროგრამებში და მას სპეციალური ყურადღება ექცევა ცალკეულ სომატურ დაავადებათა განვითარებასა და უკუგანვითარების დინამიკაში.

აღსანიშნავია სახელმძღვანელოს ის ნაწილი, რომელიც ეძღვნება ფიზიოლოგიური ფუნქციების თავისებურებებს ადამიანის ორგანიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ბავშვებში. ცალკეულ თავში, მოცემულ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც ეხება ფიზიოლოგიური ფუნქციების თავისებურებებს როგორც ბავშვთა, ისე მოხუცებულთა ასაკში, ნათელ სურათს ქმნის ადამიანის ორგანიზმის ფუნქციურ თავისებურებებზე მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში – ბავშვობიდან ხანდაზმულობამდე და სერიოზულ დახმარებას გაუწევს ექიმ-კლინიცისტებს, განსაკუთრებით ოჯახის ექიმებს, რომელნიც სხვადასხვა ასაკის პაციენტებს უწევენ სამედიცინო დახმარებას.

ჯანმრთელი ადამიანის ნორმული სტატუსის ყოველმხრივი გაშუქების პარალელურად, სახელმძღვანელო მკითხველს საკმაოდ სრულ წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ რა სახის ინტიმური, კლინიკამდელი ძვრები შეიძლება იქნეს აღმოჩენილი კლინიცისტის მიერ ჯერ კიდევ პრაქტიკულად ჯანმრთელი პირის გამოკვლევისას ორგანიზებული და მიზანმიმართული პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროცესში.

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მედიცინა ფლობს ფუნქციურ-ლაბორატორიული კვლევის ნაირფეროვან ნატიფ მეთოდებს (გენეტიკურს, იმუნოლოგიურს, ბიოქიმიურს, სხივურს და სხვ.), რომელთა მეშვეობით მრავალი სახის პათოლოგიის ჯერ კიდევ კლინიკურ ჩამოყალიბებამდე შესაძლებელია, გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე რისკის ფაქტორი და რომელთა დროული ლიკვიდირება მძიმე, პროგრესირებადი და მაინვალიდებელი ფორმის პათოლოგიის თავიდან აცილების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. როგორც წესი, ჩამოყალიბებული ქრონიკული პათოლოგია ხანგრძლივი, ტორპიდული, არაიშვიათად კი პროგრესირებადი მიმდინარეობით ხასიათდება. ამიტომ ის მდიდარი ინფორმაცია ჯანმრთელი ადამიანის ნორმულ სტატუსზე, რომელიც ასე ფართოდაა გაშუქებული სახელმძღვანელოში, უდავოდ, დაეხმარება პრაქტიკოს-კლინიცისტს (ოჯახის ექიმს, პედიატრს, მოზრდილი ასაკის მკურნალს, გერონტოლოგს) ქრონიკული დაავადებების დროულად და ეფექტურად თავიდან აცილების საქმეში.

სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ახალი სახელმძღვანელო არა მარტო სასწავლო დანიშნულებისაა (სტუდენტების, რეზიდენტების, ახალგაზრდა მედიკოსებისთვის), არამედ არსებითად დაეხმარება პრაქტიკულ ქსელში მომუშავე მრავალი სპეციალობის კლინიცისტს და გამოიმუშავებს მათში პრევენციულ სიფხიზლეს, რომელიც არანაკლებ (ზოგჯერ კი - უფრო მეტადაც) მნიშვნელოვანია, ვიდრე სწორი დიაგნოსტიკა და მკურნალობა. სახელმძღვანელოს მეშვეობით გაძლიერდება ქრონიკული დაავადებების მიზანმიმართული პრევენციის ეფექტური ბერკეტები, დაიზოგება გაუმართლებელი დანახარჯები ქრონიკული ავადმყოფების რეაბილიტაციასა და დაინვალიდებული პირების მატერიალურ კომპენსაციაზე, ქვეყანა შეინარჩუნებს ჯანმრთელ, აქტიურ მოქალაქეებს, ოჯახები – მარჩენალსა და მომავალ თაობას, ერი – ჯანსაღ გენოფონდს, თავად პიროვნება – ცხოვრების ჯანსაღ წესს და განახორციელებს საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციურ უფლებას.

ტექსტის დასასრულ მოყვანილია ადამიანის ორგანიზმის ძირითადი ფიზიოლოგიური კონსტანტები, რაც, პრაქტიკული თავალსაზრისით, მეტად მოხერხებული და გამართლებულია.

სახელძღვანელო დაწერილია დახვეწილი ლიტერატურული სტილით, რის გამოც სიამოვნებით იკითხება. წიგნი მდიდრულადაა ილუსტრირებული: 96 სურათის გარდა, მასში მოყვანილია მრავალი სქემა და ცხრილი, რომელიც ხელს უწყობს ტექსტში მოცემული შინაარსის სიღრმისეულ აღქმას. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს წიგნის დიზაინიც და პოლიგრაფიული კულტურაც.

„ადამიანის ფიზიოლოგია“ მრავალი ფუნქციის მქონე, მრავალმხრივ სასარგებლო წიგნია; იგი არამარტო მომავალ მედიკოსთა სასწავლო სახელმძღვანელო და პროფესიული დაოსტატების წყაროა, არამედ თანაბრად დაეხმარება ყველა პროფესიონალ მკურნალ კლინიცისტსაც თავისი საქმიანობისას ერთგვარი პრევენციული სიფხიზლის გამომუშავებაში.

„ადამიანის ფიზიოლოგია“ ნამდვილად სამაგიდო სახელმძღვანელოა და კეთილი მრჩეველი სტუდენტებისთვის, ახალბედა ექიმებისა თუ დაოსტატებულ მედიკოსთათვის.

ვადიმ სააკაძე,

მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
მედიცინის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი,
პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის
საპატიო წევრი,
მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა და
აფზახეთის მეცნიერებათა
აკადემიების აკადემიკოსი

ლუდიანი გზა

იუბილე

პროფესორი ალექსანდრე ციბაძე 75 წლისაა

75 წელი მოწიფული შემოდგომის პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, როცა შრომის ნაყოფით ტკბობის დრო დგება. ბატონი ალექსანდრე (ალეკო) ციბაძე უკვე რამდენი ათეული წელია სიყვარულით და ერთგულებით ემსახურება პრაქტიკულ და თეორიულ მედიცინას, ახალგაზრდების აღზრდა-განათლების საქმეს. მისი ძალისხმევით თაობები აღიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ. დიდია ბატონი ალექსანდრეს წვლილი სამედიცინო სფეროს განვითარებაში, რაზეც ნათლად მეტყველებს მისი მრავალი მონოგრაფია, სახელმძღვანელო თუ სამეცნიერო სტატია.

ამას წინათ პროფესორ ალექსანდრე ციბაძეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცეს კოლეგებმა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ.

აკადემიური საბჭოს სახელით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, მას საიუბილეო მილოცვა გადასცა, სადაც ვკითხულობთ:

– თქვენ იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებით, ვინც წარუშლელი კვალი დატოვა ექიმთა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტთა, ფარმაცევტთა რამდენიმე ათეული თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებაში.

თქვენ ნაყოფიერი და საინტერესო გზა განვლეთ. სტუდენტებს იმიტომაც უყვარხართ, ბატონო ალეკო, რომ თქვენს ცოდნას, ემოციას და გამოცდილებას დაუზოგავად უწილადებთ მათ!

ღირსეული ოჯახის შთამომავალი და ღირსეული შთამომავლების მამა და ბაბუა თავაწეული და პირნათელი ხვდებით 75 წლის იუბილეს!

მოწაფეების და კოლეგების სახელით გილოცავთ და გისურვებთ სიმხნევეს, ჯანმრთელობას, საინტერესო იდეებს და მათ წარმატებით განხორციელებას!

მილოცვის წერილები ბატონ ალეკოს მრავლად დაუგროვდა: ულოცავენ: პროფესორი **ა.ხარვაზიანი** – ნიუ ჯერსიდან; პროფესორი **ო. რომანოვი** – სრულიად რუსეთის სამედიცინო ტექნიკის სამეცნიერო კვლევითი და საცდელი ინსტიტუტის დირექტორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; პროფესორი **გ. ღავთაძე,** მოსკოვის ცილოვან ნივთიერებათა ბიოსინთეზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ა. სტუპენინი** და მრავალი სხვა.

ხანგრძლივ ჯანმრთელ და შემოქმედებით ცხოვრებას გისურვებთ, ბატონო ალეკო, დიდხანს ყოფილიყავით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამსახურში!

ილია ახმეტელის 130 წლისთავის ერისადმი

➡ *მე-4 გვერდიდან*

როპათოლოგთა და ფსიქიატრთა კონფერენციას 1929 წლის 12 მაისს ნერვულ სნეულებათა კლინიკის უფროსი ასისტენტის **პ. ქავთარაძის** მიერ და გამოქვეყნებულია მის მიერვე ჟურნალ „თანამედროვე მედიცინაში“ 1930 წ. აი რას წერს ამ შრომაში პ. ქავთარაძე: „ავადმყოფი ხუთი წლის განმავლობაში თავს სრულიად ჯანსაღად გრძნობს. ასეთი სრული განკურნება ჩვენ ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ვერ ვნახეთ. საერთოდ მთელს მსოფლიოს ლიტერატურაში სტევენმა და გოლდბერგმა შესძლეს შეეგროვებინათ სულ 21 შემთხვევა თავის ტვინის ექინოკოკისა და მათ შორის არც ერთი არ ყოფილა სრული ხანგრძლივი განკურნებით. ამგვარად, ჩვენი შემთხვევა სრული განკურნებით უნდა მივიჩნიოთ ძლიერ იშვიათ შემთხვევად“.

ავადმყოფი დემონსტრირებული იყო ქირურგიული საზოგადოების სხდომაზე ილია ახმეტელის მიერ 1932 წელს, ოპერაციიდან 7 წლის შემდეგ.

1926 წლის 20 იანვარს ილია ახმეტელმა აკრომეგალიის მქონე ავადმყოფს ამოკვეთა ტვინის დანამატი. ეს იყო პირველი ჰიპოფიზექტომია კლინიკაში. 1926 წელს მან პირველი ლამინექტომია შეასრულა კლინიკაში ზურგის ტვინის ტრავმული კომპრესიის დროს. იმავე წელს ილია ახმეტელი ნევროპათოლოგთა წინაშე წარსდგა მოხსენებით „თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეების მკურნალობის შესახებ“. საქართველოს წამყვანი ნეიროქირურგის პროფესორ კ. ჩიქოვანის აზრით, საქართველოში ნეიროქირურგიის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ილია ახმეტელის შრომამ „ხერხემლისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანების კლინიკა და მკურნალობა“. (Чиковани К.П., Сигуа О.Х Итоги нейрохирургической работы в Грузии за 10 лет Сб.тр. НИИ травматологии и ортопедии. Т. IV, Тбилиси, 1951, 14-23) 1929 წ. ექიმთა საზოგადოების სხდომაზე მოსმენილი იყო მისი მოხსენება „თავის ტვინის ქირურგიის თანამედროვე მდგომარეობა“.

ილია ახმეტელი ბევრს მუშაობს ორთოპედიაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ორთოპედიის შესასწავლად მან იმუშავა რუსეთის წამყვან ორთოპედიულ დაწესებულებებში. ამიტომ იყო, რომ ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში გრიგოლ მუხაძის შემდეგ ყველაზე მეტ ორთოპედიულ ოპერაციებს ილია ახმეტელი აკეთებდა. მან კლინიკაში არა ერთი ახალი ოპერაციული ჩარევა დანერგა ორთოპედიასა და პლასტიკურ ქირურგიაში.

ილია ახმეტელის ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში მოღვაწეობის შესწავლა იმაზე მეტყველებს, რომ იგი ერთ-ერთი პირველთაგანია იმათ შორის, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით საქართველოში ამ დარგის განვითარებაში.

ილია ახმეტელი დიდი გატაცებით მუშაობდა მუცლის ღრუს ქირურგიაში. კლინიკაში კუჭნაწლავის ტრაქტის სიმსივნეების დროს ოპერაციების უმეტესობა შესრულებული იყო **გ. მუხაძის, მ. ცხაკაიას და ი. ახმეტელის** მიერ. იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა დავა წყლულოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობის საკითხში რეზექციონისტებსა და კუჭნაწლავის შერთულის მომხრეთა შორის, ქართველ ექიმთა V კონგრესზე ქ. ბათუმში იგი აღნიშნავს, რომ უპირატესობა უნდა მიეცეს კუჭის რეზექციას ბილროთის პირველი წესით რომელიც ჩვეულებრივი, ბუნებრივი გზით და კუჭის რითმულად დაცლის პირობებს ქმნის.

1930 წელს ილია ახმეტელი მიიწვიეს საფაკულტეტო ქირურგიის უფროს ასისტენტად (გამგე – პროფ. კ. ერისთავი). იმავე წელს მას მიენიჭა დოცენტის წოდება. 1933 წელს კითხულობს ტრავმატოლოგიის კურსს, შემდეგ სამხედრო-საველე ქირურგიის კურსს ექიმთა გადასამზადებელ კურსებზე, 1935 წელს მას ირჩევენ პედიატრიული ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ. 1936 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

დამოუკიდებელ მუშაობას ხელი უნდა შეეწყო აქტიური მოღვაწეობისათვის, მაგრამ ამ დროიდან დაიწყო მისი ცხოვრების აუტანელი პერიოდი. იმ წელს თანამდებობიდან მოხსნეს მისი უმცროსი ძმა – სანდრო ახმეტელი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც 1936 წელს წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს. დააპატიმრეს და დახვრიტეს ილიას უფროსი ძმა – დავითი, თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი და იმ დროს ამიერკავკასიის ვეტერინარული სამსახურის უფროსი, დახვრიტეს ილიას ბიძაშვილები. ილია ახმეტელი ყოველ დღე ელოდა დაპატიმრებას, გამზადებული ჰქონდა პატარა ჩემოდანი პირველი მოხმარების ნივთებით, ახმეტელის გვარი ხალხის მტრად იყო გამოცხადებული. მასთან ურთიერთობას, უახლოესი ნათესავების გარდა, შიშით ყველა გაურბოდა. ასეთ ვითარებაში, 1939 წლის 26 აგვისტოს, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის შედეგად, მანამდე ძალ-ღონით სავსე ილია ახმეტელი 58 წლის ასაკში გარდაიცვალა.

შესანიშანავი კლინიცისტი, მუდამ ახლის ძიებაში მყოფი, ბრწყინვალე ოპერატორი, გულისხმიერი მკურნალი – ასეთი იყო ილია ახმეტელი, როგორც ექიმი.

ილია ახმეტელის ყოველი ნაშრომი ავლენს დიდ ერუდიციას, კლინიკურ გამოცდილებას, ლიტერატურული მონაცემების საფუძვლიან ცოდნას. ენების ცოდნამ ავტორს საშუალება მისცა გაცნობოდა უცხოურ წყაროებს, რაც თითოეული შრომის დამუშავების დროს არის გამოყენებული.

ვისაც ბედნიერება ჰქონდა მასთან თუნდაც მცირე დროით ურთიერთობისა, იგი მოჯადოებული იყო მისი დიდბუნებოვნებით, უბრალოებითა და სისპეტაკით, ახალგაზრდობიდანვე შევერცხლილთმიანი, დარბაისელი და დინჯი, გულთბილი და მოსიყვარულე – ასეთი დარჩა იგი მისი მეგობრებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების მეხსიერებაში.

პროფესორი
თენგიზ ახმეტელი

ეს ხვ-ხ შოოის მეგობრობისა

„აქ უნდა ვიცხოვრო, სხვაგან არ შემიძლია...“

ელვინ ბაირამოვი *აზერბაიჯანელია, მაგრამ, როგორც მისი წინაპრები, ისიც საქართველოში, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოშია დაბადებული და გაზრდილი. სამწუხაროდ, ქართულ ენას ვერ ფლობდა, ამიტომაც ენისა და შემდგომში მისთვის საოცნებო ექიმის პროფესიის დასაუფლებლად, გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე. მიზანს მიაღწია – ქართულ ენას დაეუფლა ისე, რომ ახლა აზერბაიჯანული ლიტერატურიდან გამართული ქართულით თარგმნის მოთხრობებს, გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველ სტატიებს, შესაშურია მისი ქართული ხელწერაც; 2011 წელს კი, პრეზიდენტის პროგრამით, ჩაბარა ეროვნული გამოცდები და ჩაირიცხა ჩვენი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სწავლობს 43-ე ჯგუფში 11 აზერბაიჯანელ და ორ სომეხ სტუდენტთან ერთად. ქართული ენის ასე დაუფლების გამო დიდი მადლობელია სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ცენტრის მასწავლებლების – **თამილა გოგოლაურისა** და **თამარ კანთელაძის**.*

ელვინი 2009-10 სასწავლო წელს გამარჯვებულია ქიმია-ბიოლოგიასა და ფიზიკაში საქართველოს ეროვნულ ოლიმპიადაზე, რის გამოც მე-2 ადგილი და საქართველოს განათლების სამინისტროსგან კომპიუტერი დაიმსახურა.

უყვარს საქართველო, მისი ხალხი. სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, ამიტომაც თქვა უარი აზერბაიჯანში სწავლის გაგრძელებაზე, როცა ამას ურჩევდნენ. ეს მას თავის მშობლიურ ქვეყანას დააშორებდა, შესაძლებელი იყო უცხო გამხდარიყო მისთვის და მომავალში ადგილიც ვერ დაემკვიდრებინა აქ. „მე ჩემი ოჯახის ერთადერთი ვაჟიშვილი ვარ და აქ უნდა ვიცხოვრო, სხვაგან არ შემიძლია, – აცხადებს იგი.

ელვინის მიზანი აზერბაიჯანულიდან ქართულად პუბლიკაციების თარგმნისა ის გახლავთ, რომ წარმოაჩინოს ამ ორ ერს შორის ოდითგანვე არსებული მეგობრობა, ურთიერთკავშირი საქმიანობაში. ეს მას დიდ სიხარულს ანიჭებს და სიამაყით ავსებს. მიმდინარე წლის ივნისში გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა ელვინის წერილი აზერბაიჯანის გამოჩენილ მწერალზე – ჯელილ მემედგულუზადეზე, რომელიც 17 წელი თბილისში ცხოვრობდა და რომლის ჟურნალი „მოლა ნასრედინი“ აქაც გამოვიდა.

*ახლახან ელვინი ჩვენს რადაქციას ეწვია. სტუმრობის მიზეზი გახლდათ აზერბაიჯანსა და საქართველოში ცნობილ დასტაქარზე, **მუსტაფა ტობჩიბაშევზე**, წერილის გამოქვეყნება, რითაც სურს მკითხველს გააცნოს ქართველ და აზერბაიჯანელ ექიმებს შორის არსებული მეგობრობა, პროფესიული ურთიერთობა.*



პროფესორები
ნ. ანთელავა და მ. ტობჩიბაშევი

მუსტაფა ტობჩიბაშევი

აზერბაიჯანელი ხალხის გამოჩენილი პიროვნება, საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო სწავლული დასტაქარი **მუსტაფა ტობჩიბაშევი** საქართველოშიც იყო ცნობილი. მას მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა სახელოვან ქართველ კოლეგებთან.

მუსტაფა ტობჩიბაშევმა, თავის სიცოცხლის მანძილზე, წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მედიცინის, განსაკუთრებით ქირურგიის, განვითარების ისტორიაში. იგი, როგორც ექიმი, მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, გულწრფელი ყურადღებიანი, ერთგული, დაუზარელი, კეთილშობილი მკურნალის სიმბოლო იყო.

მას, როგორც აზერბაიჯანში, ასევე, მთელ მსოფლიოში, პრაქტიკული და თეორიული მედიცინის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან 1930 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1943 წელს კი მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

➡ *მე-7 გვ-ზე*

ეს ხალხი შეიძლება მეგობრობდეს

← მე-6 გვერდიდან

მუსტაფა ტობჩიბაშევი დაიბადა 1895 წლის 5 აგვისტოს ირევანის (ახლანდელი ერევნის) სოფელ გოიქუმბეთში. მისი ოჯახი დიდ ინტერესს იჩენდა მეცნიერების მიმართ, ამიტომ მუსტაფა სასწავლებლად პირველად ირევანის გიმნაზიაში შევიდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1914 წელს, იგი კიევის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჩაირიცხა; 1919 წელს კი ბაქოში ჩამოვიდა სამუშაოდ. 1922 წელს მუსტაფა, რამდენიმე ექიმთან ერთად, პრაქტიკის მისაღებად გაგზავნილ იქნა გერმანიაში, სადაც ზედმიწევნით დაეუფლა პრაქტიკულ და თეორიულ მედიცინას. ცოტა ხანში მ. ტობჩიბაშევი მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი ექიმი გახდა.

1941 წელს მუსტაფა ინიშნება აზერბაიჯანის მთავარ ქირურგად. სამამულო ომის დროს იყო დღეები, როცა იგი 20-ზე მეტ ოპერაციას აკეთებდა.

1938 წელს მ. ტობჩიბაშევმა შეიმუშავა გაუტკივარების ახალი მეთოდი „ანალგეზინი“, რომელიც, სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, არ იწვევდა ღრმა ძილს. ამ მეთოდის აღმოჩენიდან 16 წლის შემდეგ გამოჩენილი ექიმი არტუზიო აშშ-ში გამოვიდა წინადადებით, რომ ქირურგიული ოპერაციების დროს გამოეყენებინათ „ანალგეზია“, თუმცა, გარკვეული მოსაზრების გამო, არ მოიხსენია ამ პრეპარატის შემქმნელი ავტორი.

1942 წელს მ. ტობჩიბაშევმა შექმნა ახალი აპარატი, რომელიც საშუალებას იძლეოდა დაჭრილების ორგანიზმში ეპოვათ უცხო სხეულის ზუსტი მდებარეობა და მოეხდინათ მისი ლოკალიზაცია. აპარატი პორტარტული იყო და მისი გამოყენება ადვილად შეიძლებოდა საველე პირობებშიც.

მ. ტობჩიბაშევმა, თავისი მოღვაწეობის პერიოდში, შეიმუშავა რამდენიმე ორიგინალური ოპერატიული ჩარევის მეთოდი:

აუტოპლასტიკური – თავის ქალას ძვლების დეფექტების დაფარვა ნაფლეთით;

თაფლის სანთლის ტუბაჟის – ნერვის დაზიანების ქირურგიული მკურნალობის დროს;

კრანიო პლასტიკის – თავის ქალას ძვლების დეფექტების მკურნალობაში;

ტიკის ენდომიოპლასტიკის;

პარაფინის აპლიკაციები დამწვრობის დროს და სხვა.

მ. ტობჩიბაშევის ხელმძღვანელობით შესრულდა 35 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია; ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორის 7 მონოგრაფიაა, მასვე ეკუთვნის „კერძო ქირურგიის“ სახელმძღვანელო, რომელიც დღესაც არ კარგავს პრაქტიკულ და მეცნიერულ მნიშვნელობას.

მ. ტობჩიბაშევი, მთელი თავისი 85 წლის სიცოცხლის მანძილზე, იყო კეთილშობილი ოჯახის უფროსი, გულწრფელი მეუღლე, ყურადღებიანი მამა. მისი მეუღლე, **რეიჰან ხანუმი,** მხატვარი იყო. ოჯახში სამი შვილი გაიზარდა – ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. **იბრაჰიმი,** უფროსი შვილი, ცნობილი დასტაქარი, პიროგოვის სახელობის ქირურგთა ასოციაციის წევრი იყო. ამასთანავე, მას იცნობდნენ, როგორც ცნობილ ქირურგს თურქეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში. მან განვლო მოკლე, მაგრამ სახელოვანი ცხოვრების გზა. უფროსი ქალიშვილი – **ზემფირა** – ექიმია; უმცროსი – **ელმისა** – მუსიკოსი.

1981 წლის 20 ნოემბერს აზერბაიჯანის გამოჩენილი ქირურგი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის ფაკულტეტის გამგე, სსრკ-ს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი მ. ტობჩიბაშევი გარდაიცვალა და დაკრძალულია ბაქოში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მ. ტობჩიბაშევი და საქართველო

1944 წელს აკადემიკოსი **ლ. ორბელი,** მოსკოვიდან დაბრუნებისას, თავის მეგობარ მუსტაფასთან წავიდა. სწორედ ამ დროს მ. ტობჩიბაშევი საავადმყოფოში გულმკერდის არედან ნამსხვრევების ამოსაღებად ოპერაციას აკეთებდა თავისივე შექმნილი „ანალგეზინის“ ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის და პორტარტული აპარატის გამოყენებით. ოპერაცია ძალიან სწრაფად და კარგი შედეგით დამთავრდა. ოპერაციას თავიდან ბოლომდე დაესწრო აკადემიკოსი ორბელი. ბოლოს ავადმყოფს ჰკითხეს: „თქვენ ოპერაცია გაგიკეთეს?“ ავადმყოფმა მკაცრად უპასუხა: „არა, ჯერ არ გამიკეთებია!“ გაოცებულმა ორბელმა ტობჩიბაშევს უთხრა: „ძალიან გასაოცარია, როცა ასეთი რთული ოპერაციის შემდეგ ავადმყოფი არ გრძნობს ტკივილს.“

ცნობილი ქართველი ექიმები ტობჩიბაშევზე:

სსრკ-ს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი **პ. სარაჯიშვილი:**

„დიდი ხანია ვიცნობ ტობჩიბაშევს, რადგან აზერბაიჯანში ხშირად დავდიოდი. იგი ჩემი ერთგული მეგობარი იყო: ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიაში სესიებზე. მუსტაფა ძალიან მშრომელი, ცნობისმოყვარე და დაუზარელი იყო. დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდა მრავალრიცხოვან საკითხს მედიცინაში; რამდენიმე თვე მუშაობდა ერთ პრობლემაზე. იგი გამოირჩეოდა თავშეკავებულობით და ადამიანების მიმართ უსაზღვრო სიკეთის გამოვლენით. ამიტომაც გარშემომყოფნი, ნაცნობები თუ პაციენტები მისდამი პატივისცემას და სიყვარულს გამოხატავდნენ.“

სსრკ-ს მედიცინის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, პროფესორი **ავლიპი ზურაბაშვილი**:

„აკადემიკოსი მ. ტობჩიბაშევი სსრკ-ში ერთ-ერთი გამოჩენილი ქირურგი იყო. მისი თეორიული და პრაქტიკული აღმოჩენები მხოლოდ საბჭოთა კავშირში კი არა, მთელ მსოფლიოშია ცნობილი. სიამაყით ვამბობ, რომ მ. ტობჩიბაშევი, როგორც მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ქართველ მეგობრებსა და პირადად მე, როგორც ძველ მეგობარს, გვაოცებდა მისი კაცთმოყვარეობა, სიმართლისა და სიკეთის რწმენა.“

ლიტერატურის მოძიებაში გაწეული დახმარებისთვის წერილის ავტორი მადლობას უხდის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს, ქალბატონ ***ლია ქუთათელაძეს*** *და ბიბლიოთეკის დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების განყოფილების თანამშრომლებს:*
– მერი მიქელაძეს და გულიკო გიორგაძეს.

ხსოვნის ხვიჩამბუ

წარსულის ტრაგედია და დღევანდელი ცრემლები

ჩვენი გაზეთიდან შეიტყო მკითხველმა პირველად ქ. ორიოლში, მედვედოვოს ტყეში, 162 პოლიტპატიმრის ვერაგული დახვრეტის შესახებ, რომელთა რიგებში იყვნენ დიდი ქართველი კლინიცისტი, პროფესორი **შალვა მიქელაძე** და **გალაკტიონის** სათაყვანებელი, „ხეტიალთა თანამგზავრად“ მიჩნეული მეუღლე – **ოლია ოკუჯავა**.

ახლახან სწორედ ამ ტრაგიკული თარიღის 70 წლისთავის აღნიშვნას მიეძღვნა გალაკტიონის სახლ-მუზეუმში ჩატარებული სხდომა, სადაც ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებისა და ექიმთა საზოგადოების წინაშე პირველად იყო ნაჩვენები ამ შემზარავი დანაშაულის ორგანიზატორების და უშუალო შემსრულებლების დოკუმენტური ფოტომასალა.

საყურადღებოა, რომ პროფესორ შალვა მიქელაძის, ოლია ოკუჯავას და სხვა პოლიტპატიმრების დახვრეტა დაგეგმეს და სისრულეში მოიყვანეს იმ პირებმა, რომლებმაც ამ ფაქტამდე წელიწადნახევრის წინ სმოლენსკის მახლობლად, კატინის ტყეში, დახვრიტეს 20 000-მდე პოლონელი სამხედრო ტყვე. სხდომაზე წარმოდგენილმა პოლონელი რეჟისორის, **ანჯეი ვაიდას**, ფილმის **„კატინის“** კადრებმა დამსწრე საზოგადოების ისეთი აღელვება გამოიწვია, რომ მრავალმა მათგანმა ვერ გაუძლო აუტანელ სანახაობას და დარბაზი ცრემლებით დატოვა.

„საქართველოში მუზეუმების უმრავლესობა დადუმებულია, გამონაკლისი გალაკტიონის მუზეუმია, სადაც სისტემატურად ტარდება პოეზიის თუ სხვა შინაარსის საღამოები. ეს, უდავოდ, მისი დირექტორის, ქალბატონი **ნატო გაბისონიას** დამსახურებაა“, – აღნიშნა თავის გამოსვლაში შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა **რევაზ მიშველაძემ** და მადლობა გადაუხადა მას მუზეუმის მიმართ ასეთი ერთგულებისთვის. პროფესორის მადლობას, დამსწრე საზოგადოებასთან ერთად, შეუერთდნენ: საბას პრემიის ლაურეატი, პროფესორი **ვახტანგ ჯავახაძე**, გალაკტიონის ძმისშვილი, პროფესორი **ნოდარ ტაბიძე** და შალვა მიქელაძის შვილიშვილი, ბატონი **არჩილ მიქელაძე**. მადლობის სიტყვები ითქვა ჩვენი გაზეთისა და ექიმი **ხუტა პაჭკორიას** მიმართაც, რომელმაც მეტად შრომატევადი საქმიანობა გასწია – ინტერნეტის, საარქივო უცნობი პუბლიკაციების მოპოვებით, რითაც საზოგადოებას გააცნო ჩეკისტი ჯალათების გვარები და ფოტოსურათები.

სხდომის მონაწილეებში დიდი ემოციური ზეგავლენა მოახდინა მწერალთა კავშირისა და ფაზისის აკადემიის წევრის, 4 წიგნის ავტორის, ფილოლოგისა და პედაგოგის, ქალბატონ **მიმოზა ცანავას** წინასწარმეტყველურმა ლექსმა **„გალ“**, მიძღვნილმა ოლია ოკუჯავას ხსოვნისადმი, რაც პირველი შემთხვევაა და ჯერჯერობით ერთადერთია ქართულ ლიტერატურაში. ამ ლექსის ექსკლუზიურად დაბეჭდვის უფლება ჩვენს გაზეთს მიეცა, რისთვისაც მადლობას ვუხდით ქალბატონ მიმოზას.

ლექსში, ავტორის პოეტური წარმოსახვით, გადმოცემულია ის შინაგანი განცდები, შეუდრეკლობა, გახევება, გალაკტიონისადმი „უგონო სიყვარული“, თხოვნა, ანდერძი, მოფერება და გამხნევება, რაც უნდა ეგრძნო ქალბატონ ოლიას სასიკვდილო განაჩენის წინ...

მართლაც, ლექსის წაკითხვისას დიდ განცდებთან ერთად, ქალბატონი ოლია მკითხველისთვის ცოცხლდება თავისი სულიერი სამყაროთი, სიმტკიცით, შეუპოვრობითა და დაუმორჩილებლობით „ჩახმახმომართული ჯალათის“ წინაშე და თითქოს ჩაგესმის სიტყვები გალაკტიონისადმი გაგზავნილი მისი წერილებიდან: **„ჩემო ძვირფასო, ჩემო უგონო სიყვარულო!“... „გალ, უკვე ღამის 4 საათია, შენ არ ჩანხარ“... „გალ, მოლოდინად ვიქეცი“...**

და აი ლექსიც, გალაკტიონის სათაყვანებელი მეუღლისადმი პირველად მიძღვნილი ქართულ ლიტერატურაში:



გალ!

ვერ გადავურჩი ყვავ-ყორნის ჩხავილს,
მოვარდნილ ცეცხლის ალს,
დარდის აკვანი ნელ-ნელა მარწევს,
დღე მეწურება, გალ!
უკანასკნელად „ჩორნი ვორონით“
მივყავარ ჩემს ბედს - ავს,
„უკან მომჩხავის შავი ყორანი“
გოლგოთას გზაზე, გალ!
და მედვედოვოს ბნელი, ცოდვილი,
ძაძით მოსილი ტყე,
ვერა, ვერავინ ანუგეშებდა,
დარდით გაცრეცილ დღეს.
როგორ მზარავდა ყორნის ჩხავილი,
მაინც ვერ ავცდი ბედს,
ჩახმახმომართულ ჯალათს თვალებში
ვუმზერ, არ ვიხრი ქედს.
ღამის წყვდიადი, განცდა, წუხილი,
ვგავარ წაქცეულ ხეს,
გახელებული ქარი სიავით
ჩემს სველ ბარათებს ხევს.
ვეფხვ-ქალი როგორ უნდა დამხვრიტონ
ამ ტურა-მგლებმა დღეს?!
ლაჩრებმა როგორ უნდა მაჯობონ
ამორძალივით მხნეს?!
მახრჩობს ეშმათა ბოროტი მზერა,
ცრემლი შეაშრა თვალს,
მე ველი შენგან დაკრეფილ იებს,
გულს დამაყარე, გალ!
ურცხვად ვინ მიშენს ტყვიების წვიმას?!
ვინ ეჭვობს, ვინ მდებს ბრალს?!
მწუხრის მირაჟი ბორკილებს მადებს
და მიმორჩილებს, გალ!
მე გახელილი მრჩება თვალები,
გახვეული ვარ კვამლს,
კაეშნით გული დამეფლითა და
დღე მემუქრება, გალ!
და ბედისწერის ავი დემონი
მიწაში სხეულს ფლავს,
ჰო, მხოლოდ სხეულს,
სიყვარული კი ცას მივაბარე, გალ!
„შენ ჩემი მუზის დედოფალი ხარ“,
მეძახდი „გრძნობის ქალს“,
ნუ დაუტოვებ ჩემს ნეშტს საჯიჯგნად,
ამ ტურა-აფთრებს, გალ!
ქართული მიწის გულს ჩამაკონე,
მისი სურნელი მსურს,
მშობლიურია და დედასავით
მოეფერება სულს.
იქ იფრიალებს ჩემი მანდილი,
ის მომცემს შვებას, ხსნას,
სიყვარულს ტყვიით ველარ მოკლავენ,
ვერ მოახრჩობენ, გალ!
ნუთუ ჯალათებს დედა არა ჰყავთ,
ან და, ან სატრფო მწირთ,
ასე მხეცურად სხვისი წამება
შეისისხლხორცეს ვით?!
მშვიდობით, დიდო პოეტთა მეფევ,
ლოდი დაედო გულს,
შენ მომიკითხე თამაკონი და
თაყვანი ქუთათურთ!
ვხედავ რა ჩალის ფასი ჰქონია
ალმას-მარგალიტ-ლალს,
გთხოვ, ჩემს უმწეო, ნაბოლარა ძმას,
ვასკას, მიხედე, გალ!
მე ორიოლის ციხის კედლები,
მორიელივით მკლავს,
ენკენისთვეში ჯოჯოხეთურად
დამფლეს, დამხვრიტეს, გალ!
რად ელანდება მკვდარი ვარდები
ხალთაში ჩაფლულ სულს,
ლურჯა ცხენების თქარუნი მესმის
და შენთან ყოფნა მსურს.
მწუხრის ზეწარი გადმომეფარა,
ქარი უნდობლად მცემს,
უმისამართო ჩემი საფლავი
ყვავ-ყორნებს რჩება დღეს!
მე შენი ლექსის მუზად დავრჩები,
მოგყვები კვალდაკვალ,
გაზაფხულებზე იებად მოვალ,
ლამაზ სიზმრებად, გალ!
...მზე ჩაესვენა და მწუხარე დღე
თავჩაქინდრული გლოვობს,
შენ სიყვარულის სიმბოლოდ დარჩი,
გალაკტიონის ოლოლ!

მოამზადა
დალი გაბეშიამ

სამედიცინო გაზეთი

ღონისძიება

კიდევ ერთი წარმატებული პრემიერა

თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა დრამატულმა თეატრმა „ჰიგიამ“ (რეჟისორი – **ნათია გუჯაბიძე**) კიდევ ერთი საინტერესო პრემიერით გაახარა მაყურებელი. ამჯერად რეჟისორმა სცადა ისეთ მტკივნეულ თემას შეხებოდა, როგორიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომია. სპექტაკლში გამოყენებულია რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული ისტორიები და **ბასა ჯანიკაშვილის** პიესა **„ომობანა“**.

მოქმედება ვითარდება შეიარაღებული კონფლიქტის ფონზე – განსხვავებული სიტუაციები, დიალოგები, სცენები და პერსონაჟები, რომლებიც ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ, უხაროდათ, უყვარდათ, ერთობოდნენ, ოცნებობდნენ და მოულოდნელად აღმოჩნდნენ თავზარდამცემი რეალობის წინაშე. შთამბეჭდავად ცოცხლდება ეპიზოდები ჩვენი უახლესი წარსულიდან – ომის „მსახვრალი“ ხელი დაუნდობლად ანგრევს ყველაფერს, აღებს ყველა ქალაქის, კუთხის, ოჯახის კარს, რადგან სამშობლო ყველასთვის ერთია და იგი ყველაფერზე მაღლა დგას: **„სამშობლო ღმერთია“**, – ასეთია პიესის გმირების საერთო პათოსი, ამიტომაც ერთი ფიქრით და მიზნით მიისწრაფვიან ბრძოლის ველზე ნაჩქარევად გადაცმული ჯარისკაცები – გადაარჩინონ იგი განსაცდელისგან. მიდიან და თან მიჰყვებათ დედის ცრემლები და ჩუმი ლოცვა ბრძოლისკენ მომწოდებელი... და არც ზოგავენ თავს „ფიცვერცხლნაჭამი“ ბიჭები...

რეჟისორი ნაბიჯ-ნაბიჯ გვიჩვენებს განსხვავებული ბუნების და მენტალობის, სოციალური წარმოშობის და მდგომარეობის, პროფესიის და ასაკის ადამიანების სულის მოძრაობას ამ ურთულეს ვითარებაში. თითქოს უჩვეულოდ ბუნებრივად შემოდის იუმორიც და ოპტიმისტური ხედვაც მომავლისკენ. ოპტიმიზმი კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ისევ იმ თაობის თავგანწირვას ეფუძნება, ომს ჯერ კიდევ ომობანას თამაშთან რომ აიგივებს და მაინც, საჭირო დროს სწორ და ღირსეულ გადაწყვეტილებას იღებს, რადგან, როგორც ერთი პოეტის ერთ ლექსში: „...ქვეყნად რაც კი იმედებია, აუზიდია მათ ბავშვურ მკლავებს“...

დასამახსოვრებელია ახალგაზრდა მსახიობების არტისტიზმი და გარდასახვის უნარი, რეჟისორის მხატვრულ-მეტაფორული აზროვნება, ანთებული სანთლების სიმბოლიკა, საბრძოლო-მხედრული თუ პატრიოტულ-ლირიკული მელოდიები (მუსიკალური მხარდაჭერა და გაფორმება: **ჯიმი არჩვაძის და ანა სიმონგულოვის**), ორგანულად რომ ერწყმის და ალამაზებს წარმოდგენას.

სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა და მართლაც გამორჩეული და ლამაზი წუთები აჩუქა მაყურებელს.

ნატო ბოლქვაძე

სტუდენტის ღვაწლი

ცოდნის და ემოციების მხიარული ნაზავი

ჩვენს გაზეთში უკვე საკმაოდ ორიგინალური და საინტერესო ტრადიცია დამკვიდრდა: ვაქვეყნებთ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნამუშევრებს, კონკრეტულად კი — ჩანახატებს, შესრულებულს იუმორისტულ თუ ნახევრადიუმორისტულ ჟანრში. სტუდენტთა ამ ტიპის ნამუშევრების მხატვრული თუ შინაარსობრივი შეფასება სხვა განხილვის საგანია. სტუდენტებს არც განუზრახავთ ფაქტობრივი ინფორმაციის ან ცოდნის ამ ფორმით გადმოცემა; მათ მხოლოდ საკუთარი ემოციების, შთაბეჭდილებების და მიღებული ცოდნის ერთგვარი მხიარული ნაზავი შემოგვთავაზეს, რითაც გამოხატეს, რომ მედიცინა არა მხოლოდ მათი პროფესიული არჩევანი, არამედ ერთგვარი პრიზმაა, რითაც ისინი სამყაროს აღიქვამენ.

მადლობას მოვახსენებთ ფიზიოლოგიის დეპარტამენტს, სადაც ტრადიციულად გახმოვანდება ხოლმე სტუდენტთა ასეთი ინიციატივები, ხოლო დეპარტამენტი ძალას არ იშურებს მათი პოპულარიზებისთვის. ეს დეპარტამენტისა და სტუდენტების მეგობრობის, ურთიერთნდობის და პატივისცემის უეჭველი მანიშნებელია.

მას შემდეგ რაც ბადურამ რესურსების არამიზნობრივად გამოსახულება უკულმა გამოყენებისთვის. მაშინ დამერაღიქვა, ჩემმა სისხლის მიმოქცევის ორივე წრემ უკულმა დაიწყო ტრიალი! როცა გიყურებ ჩემი თორმეტგოჯა ნაწლავი კიდევ უფრო იგრიხება და ოცგოჯა ხდება. შენი ლამაზი თვალებით დატყვევებულ ჩემს ორმხრივჩაზნექილ ერითროციტებს სულ "ფეხებზე კიდიათ" ჟანგბადის ტრანსპორტირება და შენს სიყვარულს აღმა-დაღმა დაატარებენ! როდესაც გიყურებ ისეთი ტაქიკარდია მემართება, უკვე სამჯერ დავწვი ფონენდოსკოპი და ბიძგებმა აორტის რკალი გამისწორა. ვერ დაიტია ჩემმა ოთხსაკნიანმა გულმა შენი სიყვარული და გადავწყვიტე, მის ლატერალურ მხარეს ერთი „ჩეხური“ პროექტის პარკუჭი მივაშენო, სადაც მხოლოდ და მხოლოდ შენ იქნები და გექნება შენი ადგილი! სულ ამერია გოლჯის აპარატი - ლიზოსომების მაგივრად მაკროფაგებს ასინთეზებენ. მინდა ისე ჩუმად შემოვიდე შენში, როგორც ვირუსი უჯრედში, შენ კი ისე შემოიჭერი ჩემს ცნს-ში, როგორც Na-ის იონები შეიჭრებიან უჯრედში მოქმედების პოტენციალის აღმოცენებისას. ის პირობითი გამღიზიანებელი ხარ, რომელიც ჩემს თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვან შრეს ადრენალინის გამომუშავებას აიძულებს! როცა პირველად დაგინახე, ისე ღრმად შევისუნთქე ჰაერი, რომ ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა 4800-დან 7251-ზე ამივიდა, სახლში კი ჯარიმა მომივიდა ბუნებრივი P^H. როდესაც შენზე ვფიქრობ, გულის ტეტანური შეკუმშვა მეწყება, იმპულსს იმპულსი ემატება და რეფრაქტერობის ფაზაც ზამთრის ცივ გრძელ ღამესავით იწელება. ჩვენი ურთიერთობა ცილის ბიოსინთეზს მაგონებს: მივუყვებით ცხოვრების მატრიცას და თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე სულ უფრო იხვეწება და სრულყოფილი ხდება ჩვენი სიყვარული. მაგრამ რა ვუთხრა ნაღველივით მწარე წუთისოფელს? ჩვენს ურთიერთობაში დედაშენი ჩაერია და უნდა, ჩვენს „ცილის სინთეზში“ UAG -სტოპ კოდონის როლი ითამაშოს. მაგრამ ჩვენს გუანინ-ციტოზინივით მყარ კავშირს ვერ გაწყვეტს რესტრიქტაზა-დედაშენი!!! ეს იმიტომ, რომ ჩვენი ბედი აქტინ-მიოზინური კომპლექსივითაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

როცა ვერ გხედავ, გული დოფამინით მევსება და არითმია მემართება. იცოდე, რომ ყოველთვის მეყვარები, ჩემო პროლაქტინო, გლუკოზასავით ტკბილო, ჩემო ადჰეზიურო ცილავ და სეროტონინის სინთეზის ინიციატორო!

მეყვარები გულის ფატალურ ფიბრილაციამდე!!!

გკოცნი ცხავის ძვლის დაცხრილულ ფირფიტაზე...

თენგო ნაზღაიძე,
ბექა მაისურაძე,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები

ახალი წიგნები

პროფესორების: **რამაზ ხეცურიანის** და **ალექსანდრე ციბაძის** ავტორობით გამოიცა ახალი წიგნი: **„ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია“** (გზამკვლევი)

კონსულტანტი – **დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი;** რედაქტორი – პროფესორი **ლამარა კინწურაშვილი;**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით (თბილისი. – 2011. –70 გვ).

რუბრიკას უძღვება პროფესორი ვადიმ სააკაძე

ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის ინიციატივით, საუნივერსიტეტო საბჭოს წევრთა, პროფესორ-მასწავლებლების, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და სტუდენტობის აქტიური თანადგომით, ენთუზიაზმითა და მონდომებით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში არქიტექტორების – **არჩილ მინდიაშვილისა და გიორგი მაისურაძის** პროექტის მიხედვით (კონსტრუქტორი – **ემზარ კიზირია, ინჟინერ-მშენებელი მიხეილ რობაქიძე**) აიგო ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია.

2002 წლიდან, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ამოქმედდა თანამედროვე ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, რომელმაც პირველივე დღიდან მიიზიდა და დღემდე იზიდავს მართლმადიდებელ მორწმუნეთა ნაკადსა და უცხოეთის ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს.

2010 წლის 4 ოქტომბერს – ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების, თორმეტთაგან ერთ-ერთ უძრავ დღესასწაულის დღეს – ეკლესია მორწმუნეებს ვერ იტევდა და ეზოში ლოცვად მოსულმა მრალრიცხოვანმა მრევლმა, გამაძლიერებელი აკუსტიკური მოწყობილობის მეშვეობით, მოისმინა მამა მიქაელის ქადაგება, რომლის დასასრულ, მან დამსწრეთ ახარა, რომ დამთავრდა საყდრის მოხატვა და თუკი ტაძარი აშენდა ერთ წელიწადში (დაიწყო და დასრულდა 2002 წელს), მის მოხატვას 8 წელი დასჭირდა (ხატმწერი – **გიორგი ტეტუნაშვილი**).

ქადაგების შემდეგ რამაზ ხეცურიანმა და ალექსანდრე ციბაძემ ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრება, შთამომავლობისათვის შეედგინათ ბუკლეტი – გზამკვლევი ტაძრის ისტორიის შესახებ.

ბუკლეტის შემდგენლებმა მას წაუმძღვარეს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2011 წლის 7 იანვრის საშობაო ეპისტოლეს სრული ტექსტი, რათა შემდგენელებმაც და ბუკლეტის მკითხველებმაც კვლავ ყურად იღონ ამ ეპისტოლეს დედააზრი: ,,ამპარტავნობა – ეს არის, უპირველესი, უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს მეტ-ნაკლებად ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ღმერთთან ჩვენი მიახლოებისა".

ბუკლეტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ,,რაღაც დიდი სულიერება და სიწმინდის ძალა შეიძინა ამ ადგილმა, თითქოს მრავალი თაობის მედიკოსთა რწმენა, ღვაწლი და ღირსება გამოიხატა ამ საქმით. ეკლესია ზრუნავს ერის სულიერ და ზნეობრივ სიწმინდეზე, მედიკოსები კი – მის ფიზიკურ სიჯანსაღეზე. სწორედ სულისა და სხეულის სიმრთელის სიმბოლოდაა აღმართული ეს ტაძარი".

ბუკლეტი ილუსტრირებულია შესანიშნავი ფოტოკადრებით (ავტორი – თსსუ-ის პედაგოგი **მაკა კორკელია**; კომპიუტერული უზრუნველყოფა – თსსუ-ის თანამშრომლები **მარიკა სადაღაშვილი** და **ალექსი არუთინიანი**). უკვე პირველივე ფოტოკადრი – ტაძარი საშობაო ღამეს – უჩვეულო ოსტატობით და სულიერებით გამოხატავს ამ უდიდესი მართლმადიდებლური დღესასწაულის განუმეორებელ სიდიადეს, სულიერების უზომოდ მომგვრელ მადლს. შემდგომი ილუსტრაციები კი სრულ წარმოდგენას იძლევა ამ ულამაზესი ნაგებობის ექსტერიერისა და ინტერიერის განსაკუთრებულობის შესახებ, თანმიმდევრულადაა აღბეჭდილი ტაძრის მშენებლობის ეტაპები, ამ წამოწყების თანამდგომნი, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის, საპარტრიარქოს მდივნის დეკანოზ **მიქაელ ბოტკოველის**, უნივერსიტეტის ენთუზიასტების, სტუმრებისა და სხვათა მრავალი ფოტოსურათი.

ბუკლეტი–გზამკვლევი შესანიშნავი საჩუქარია, როგორც საკუთრივ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიის მრევლის, ისე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრი სამოციქულო ეკლესიის ღმრთივკურთხეული სამწყსოსთვის, რომელსაც მთელი არსებით უყვარს თავისი სამშობლო და მის სულიერ აღორძინებას შეეხარის.